

იმედიის ახნივეურისოეფი



23 აპრილი
ორშაბათი
N12 (2057)
2007 წელი

საპინალური
ნომერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამომდის 1927 წლიდან ფასი 30 თეთრი



ილია ვეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები

23-27 აპრილს საქართველოში აღინიშნება დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში დაგეგმილია IUTAM-ის (თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირი) სიმპოზიუმისა და ISAAC-ის (საერთაშორისო საზოგადოება ანალიზში, მის გამოყენებებში და გამოთვლებში) ეგიდით კონფერენციის მოწყობა.

IUTAM-ს არსებობის საუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, ილია ვეკუას წინადადებით, 1976 წელს მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში პირველად ჩატარებულიყო მესამე სიმპოზიუმი გარსთა თეორიაში. სიმპოზიუმი ჩატარდა 1978 წელს, ბატონი ილია ვეკუას გარდაცვალების შემდეგ. ISAAC კი დაარსდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში.

საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობს ავსტრიის, ბულგარეთის, კანადის, გერმანიის, პოლანდის, იტალიის, რუმინეთის, შვეიცარიის, სომხეთის, რუსეთის, პოლონეთის, თურქეთის, პორტუგალიის, უკრაინის 40-მდე მეცნიერი. მათ შორის არიან მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსები და მექანიკოსები: შერბერტ მანგი (ავსტრია), პაოლო პოდოლი-გუდილი (იტალია), დიკ ვან კამპენი (პოლანდია), ზოგდან ბოიარსკი (პოლონეთი), ილია ვეკუას მონაწილე, ჰაინრიხ ბეგერი (გერმანია), ვოლფგანგ ვენდლანდი (გერმანია)...

ილია ვეკუას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს გახსნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა.

მონაწილეებს მისალმებთან საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელით, ნათია ჯოხაძე, ილია ვეკუას ერთერთი პირველი ასპირანტი ზოგდან ბოიარსკი (პოლონეთი) და IUTAM-ის გენერალური მდივანი დიკ ვან კამპენი (პოლანდია).

სიმპოზიუმი და სემინარი ერთდროულად იმუშავებს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილია მიღება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (23 აპრილი, 14 საათი), ვიზიტი მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ილია ვეკუას საფლავზე (23 აპრილი, 16 საათი), საიუბილეო-საზეიმო სხდომა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (23 აპრილი, 18 საათი), მიღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (23 აპრილი, 20 სთ და 30 წთ), ექსკურსიები სიმპოზიუმში მონაწილე მეცნიერებსა და მათი თანმშლები პირებისათვის კახეთში, უფლისციხესა და ანანურში (25-26 აპრილი), ილია ვეკუას სსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენის დათვალიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველოს მეცნიერების ეროვნული ფონდი დააარსებს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიას დოქტორანტებისათვის.

დასვენით სალამოზე, რომელიც გაიმართება 27 აპრილს, გამოვლინდება IUTAM-ის სიმპოზიუმისა და ISAAC-ის კონფერენციის 3-3 გამარჯვებული.

ილია ვეკუა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში გამორჩეული რაქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთა შორის ილია ვეკუა ერთერთი გამორჩეული პიროვნება იყო. საბჭოთა წყობილების პირობებში მან მოახერხა გამსდარიყო მსოფლიო დონის მეცნიერი, ყოფილიყო სხვადასხვა პოსტზე სამართლიანი და პრინციპული ხელმძღვანელი, აკადემიური თავისუფლების მომხრე, ეროვნული ფასეულობების პატივისცემელი და ახალგაზრდა თაობის მისწრაფებების დამცველი - იგი ასეთი სახელით მოღვაწეობდა უნივერსიტეტში და დღეს სწორედ მის ამ ღირსებებზე საუბრობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღევანდელი რექტორი, პროფესორი მიწრძი ხუბუა.

ილია ვეკუა საზოგადოებრივ მოღვაწეთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთა სასიათშიც პარმონიულად არის შერწყმული მეცნიერისა და კეთილშობილი ადამიანის ფასდაუდებელი თვისებები. ბატონი ილია იყო უდიდესი მეცნიერი, მეცნიერების წინაბული ორგანიზატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში გამორჩეული რექტორი და უაღრესად კეთილშობილი პიროვნება. ამიტომაც არის, რომ მის სახელს უნივერსიტეტი და მთელი ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულად აფასებს.

ჩვენითვის ილია ვეკუას მეცნიერებათა ძვირფასი არა მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ იმ ღირებულებებით, რომელსაც იგი, როგორც რექტორი, აწვდიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის აკადემიური თავისუფლების და მეცნიერული კეთილსინდისიერების მომხრე იყო. განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ახალგაზრდა მეცნიერთა და, ზოგადად, მომავალი თაობის აღზრდას. საბჭოთა პერიოდში ეს არ გახლდათ მარტივი, მაგრამ ამ პრინციპებისთვის ბატონი ილია არასოდეს უღალტა.

ილია ვეკუას ურთიერთობას სტუდენტებთან, საუნივერსიტეტო და აკადემიურ საზოგადოებასთან გამორჩეული ხიბლი და ლამაზი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება სიმპონიკურად და ბატონი ილიას მიერ უნივერსიტეტში დამკვიდრებულ ღირებულებებს შორის აშკარა იყო და მას ჰქონდა განწყობების მიზმი, არასოდეს გამოუხატავს წყენა უნივერსიტეტის მიმართ. ესეც მისი პიროვნული მახასიათებელია - სუსტი ვერ გააპატიებს. პატიება სიძლიერის ნიშანია.

სასიამოვნოა, რომ ილია ვეკუას მიერ დაფუძნებული გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი დღესაც იმ ტრადიციების გამგრძელებელია, რომელიც ბატონმა ილიამ დააჩვენა. ამასვე მიანიშნებს ის აღიარებები, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე სრულიად დამსახურებულად აქვს მოპოვებული ამ ინსტიტუტს. ის გარემოება, რომ ბატონი ილიას სსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამდენი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ეწვევა, არის ამ ინსტიტუტის სამეცნიერო დონის აღიარება. მათ იციან, რომ ინსტიტუტში, სადაც ისინი კონფერენციის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას, დახვდებიან თანამედროვე, მაღალი სტანდარტის და დონის სამეცნიერო ზნოვნებს.

ცხადია, ეს ბატონი ილია ვეკუას და მისი მონაწილეების დამსახურებაა. დარწმუნებული ვარ, მათემატიკურ სკოლას, საუნივერსიტეტო მათემატიკურ



მეცნიერებას აუცილებლად ექნება ჯანსაღი ამბიცია იმისა, რომ ბატონი ილიას მიერ დანერგილ ტრადიციებსაც გააგრძელებს და ქართულ მათემატიკურ სკოლასაც განავითარებს ახალი მოთხოვნების შესაბამისად, რადგანაც, პირველ რიგში, თავად ილია ვეკუა არ აპატიებდა მის მოსწავლეებს მხოლოდ უკან ყურებას.

საუნივერსიტეტო საზოგადოების, მათ შორის მათემატიკის ინსტიტუტისა და მათემატიკური სკოლის ხედვა, მიმართული უნდა იყოს მომავლისკენ იმის შეგრძნებით, რომ ვიკვებებით იმ დიდი ტრადიციებით, რასაც ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა და, მათ შორის, ილია ვეკუამ ჩაუყარეს საფუძველი.

ანონსი
მეცნიერული უამოქმედაბისათვის
ოპტიმიზმი წარმატების უსილაბალი
იარაღია

ილია ვეკუას მიმართვა
ახალგაზრდა თაობისადმი

IA-3 AA.

**ეპროვის ბირთვულ
კვლავათა სანტრ-
თან ქართვალი მეც-
ნიერების თანამე-
რომლოვის პირ-
საქტივები ჯარ
კიდევ ილია ვეკუას
რაქტოროვის დროს
გამოიქვითა**

აკადემიკოს ალბერტ
თაბხელიძის წერილი

IA-5 AA.

**სიკვდილის წინ მან
შაქმან უნიკალური
ნაბრომი, რომლის
ქართულად
თარგმან მხოლოდ
ახლა მოხარდა**

IA-7 AA.

**მან შაქლო
დაამტკიცაბინა,
რომ მათემატიკა
ლაბაზია**

ინტერვიუ ილია ვეკუას
თანამშრომელთან ციცი
გაბისკირიასთან

IA-9 AA.

**ილია ვეკუას
უპილიპილოკა
დიდი
ასუსნისგაბალოკაა**

IA-11 AA.


**კადრს მიღვა დარ-
ჩენილი აპოუსნოკი
ილია ვეკუას და
კინოდოკუაბენტა-
ლისტის აპოუსიბი**

IA-10 AA.

ილია ვეკუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1907 წ. 23 აპრილს დაიბადა გალის რაიონის სოფელ შუმულეთში.
- 1925 წ. დაამთავრა ზუგდიდის საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.
- 1930 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი.
- 1930-1933 წწ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი.
- 1933-1937 წწ. თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტი.
- 1936-1938 წწ. თეორიული გეოფიზიკის განყოფილების გამგეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკის ინსტიტუტში.
- 1937 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დრეკადი რხევების გავრცელება უსასრულო ფენაში“.
- 1937-1940 წწ. თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი.
- 1939 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებათა ამოხსნების კომპლექსური წარმოდგენა და მისი გამოყენება სასაზღვრო ამოცანებში“.
- 1939-1946 წწ. განაგრძებს ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრას.
- 1940 წ. მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება.
- 1940-1941 წწ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
- 1940-1944 წწ. თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი.
- 1940-1947 წწ. მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის გეომეტრიის კათედრის გამგედ.
- 1941-1943 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.
- 1943-1951 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რამზაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის განყოფილების გამგედ.
- 1944 წ. აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.
- 1944-1947 წწ. თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორია.
- 1946 წ. აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრად.
- დაჯილდოვდა მედლით „კამაქური შრომისათვის 1944-1945 წწ. დიდ სამამულო ომში“.
- დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.
- 1947-1950 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე.
- 1947-1951 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანია.
- 1947-1953 წწ. თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე.
- 1950 წ. მიენიჭა სტალინური პრემია მონოგრაფიისათვის „Новые методы решения эллиптических уравнений“.
- 1951-1952 წწ. მოსკოვის ცენტრალური აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
- 1952-1953 წწ. ასრულდება სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის მოვალეობა.
- 1952-1954 წწ. განაგრძობს თეორიული მექანიკის კათედრას მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტში.
- 1952-1959 წწ. მოსკოვის უნივერსიტეტის დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის პროფესორია.
- 1953-1955 წწ. მუშაობდა სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.
- 1953-1959 წწ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის, ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრია.
- 1954-1959 წწ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების ბიუროს წევრია.
- 1955-1959 წწ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
- 1957-1961 წწ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრია.

მეცნიერება ბრძელს, სოსოსხლა – მოკლა



1907 წლის 23 აპრილს, გალის რაიონის სოფელ შუმულეთში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

ილია ვეკუას მშობლები — მამა, ვაკავტური ბუნების მშრომელი გლეხი, და მშვენიერი გარეგნობის, სათნო ხასიათის დედა სოფელში პატრიონებისა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. ამასვე ასწავლდნენ თავიანთ სულს, რომელთაგან ილია მათი პირველი სიბარული იყო. რა იცოდა მამის ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა — ნესტორ ვეკუამ და ღრმა აზროვნება, სოფლის ამ უზრალად აღმზარებულ, რომ მათი ვაჟი, ილია, ილიკო, აკადემიკოსი, ცნობილი მეცნიერი გახდებოდა, ლექციებს წაიკითხავდა საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებში, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში.

პატარა ილიკოსთვის ავტორიტეტი ყოფილა ბაბუა თედო, რომელსაც, თავის მხრივ, შვილობილი განსაზღვრებით ცვარებდა. ილია ვეკუა ხანდაზმულამდე მშობლივად სიყვარული იგრძნობდა ბაბუას.

ილია ვეკუას მშობლებისა და ბაბუას ოცნება იყო, ბავშვებს სწავლა-განათლება არ მოჰკლებოდათ. საწესდარად, მშობლები ვერ მოქმედებდნენ თავიანთი ილიკოს ტრიუმფს. ილია ვეკუა მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც დაჯილდოვდა თეორიული მექანიკის კათედრას მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტში.

„უნივერსიტეტში ილია ვეკუა ისმენდა გომოქნილი მეცნიერების ანდრია რამზაძის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, არჩილ ხარაძის, გიორგი ნიკოლაძის, ლევან გოციყელისა და სხვათა ლექციებს. 1930 წელს ილია ვეკუამ წარმატებით დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი და მას შემდეგ მათემატიკა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა იქვე.“

ნიკოლოზ მუსხელიშვილის ინიციატივით, ახალგაზრდა მათემატიკოსთა დიდი ჯგუფი, რომელსაც წარმადგენთ დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი, ასპირანტურის კურსის გასაგებლად მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო დანესუბულებებში გაიგზავნა. ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული: თბილისის ვერ კიდევ ძალზე ცოტა ჰყავდა მათემატიკის ცალკეულ დარგებში ისეთი კადრები, რომლებიც სწავლამწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდობას ხელმძღვანელობას გაუწყდნენ.

ნიკო მუსხელიშვილის სარეკომენდაციო ბარათით ილია ვეკუა 1930 წელს მიემგზავრება ლენინგრადში ცნობილ მეცნიერთან, აკადემიკოს ალექსი კრილოვიანს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ დროს ლენინგრადში მყოფმა ქართველ მათემატიკოსთა ჯგუფმა (ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ვიქტორ კურაძე, შალვა მიქელაძე, დავით დოლიძე, ამბროსი რუხაძე, ალექსი გორგიძე, ისაონ მეცხვარიშვილი და სხვ.) თბილისში მათემატიკის ინსტიტუტის დასაარსებლად დამფუძნებელი კრება მოინვიდა და სათანადო წინადადებით მიმართა ზემოთხსენებულ ორგანოს. ამის შემდეგ, 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა მათემატიკის ინსტიტუტი. 1941 წელს ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის პირველი და უცვლელი პრეზიდენტი 30 წლის განმავლობაში იყო აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი.

ლენინგრადში სამი წლის ყოფნის პერიოდში ილია ვეკუა გახდა სრულიად ჩამოყალიბებული მეცნიერი, სერიოზული გამოკვლევების ავტორი.

1933 წელს, ასპირანტურის გავლის შემდეგ, ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა და მუშაობდა დაიწყო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ის კითხულობდა ლექციებს თანამედროვე მათემატიკის მრავალ დარგში და ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას.

1948 წელს ილია ვეკუა აქვეყნებს პირველ ფუნდამენტურ მონოგრაფიას „ელფსური განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“ (რუსულ ენაზე, მოსკოვი). 1950 წელს ამ მონოგრაფიისათვის მას სტალინური პრემია მიენიჭა.

ნებისმიერ ქვეყანაში თითქმის ყოველ შემოქმედს ცხოვრების განმავლობაში შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობები და სინელები, მაგრამ, მხოლოდ განსაკუთრებით ძლიერი ნებისყოფის მქონენი დიდი მუშაობითა და შემოქმედებით მეცნიერული გატაცებით ახერხებენ მათ დაძლევა. არსებობს პერიოდი, რომ ილია ვეკუას თავისი ღრმა მეცნიერული გამოკვლევები მათემატიკაში სწორედ ცხოვრების ასეთ მძიმე პერიოდში აქვს შექმნილი.

ცნობილი რუსი მათემატიკოსები, რომლებიც კარგა ხანია იცნობდნენ შემოქმედის ნიჭით მორიხებულ ილია ვეკუას, 1951 წელს მოსკოვში იწვევენ მუდმივ სამუშაოდ. მოსკოვი, როგორც სამეცნიერო ცენტრი, რა თქმა უნდა, მეცნიერებისათვის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფრო დიდ სარბილს წარმოადგენდა. ილია ვეკუამ დატოვა საქართველო.

1951 წლის შემოდგომაზე ილია ვეკუა ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა რუსეთში აკადემიკოს ს. სრისტიანოვიჩის მიწვევით. მან მუშაობა დაიწყო ცენტრალურ აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ და ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ. 1952 წლის ბოლოს ილია ვეკუას ორჯერ ლომოსოსის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის პროფესორად, სადაც უდავოა ილია ვეკუას მოღვაწეობას ეწეოდა 1959 წლამდე. ამავე

„არ არსებობს უფრო დიდი მეცნიერება, ვიდრე სახელის განთქმა საკუთარი მამულისა“

კონსტანტინე გამსახურდია

დროს, 1953-59 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო შემდეგ იმ ინსტიტუტის დირექტორის, აკად. ი. ვინოგრადოვის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში.

ეს ინსტიტუტი მსოფლიოში აღიარებული მათემატიკური ცენტრია. აქ ილია ვეკუას ხელმძღვანელობით ტარდებოდა სემინარები, რომლებიც, მრავალმხრივი თემატიკითა და შინაარსით ნამდვილ შემოქმედებით ლაბორატორიას წარმოადგენდა.

ილია ვეკუას მოსკოვში მოღვაწეობა სასიამოვნო იყო მეცნიერული მუშაობისა და კვლევის აღმავლობითა და მყოფობით.

1952 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა მისი შრომა „პირველი რიგის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის და სასაზღვრო ამოცანები გარსათა თეორიის გამოყენებით“. ამ შრომამ დაყრდნობით და მისი არსებითი განვითარებით ილია ვეკუამ მოამზადა მეორე ფუნდამენტური მონოგრაფია „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, რომელიც 1959 წელს გამოცა მოსკოვში. ილია ვეკუას ორივე მონოგრაფია დაიბეჭდა უცხოეთში ინგლისურ, გერმანულ და ჩინურ ენებზე, ზოგიერთი მისი ცალკეული შრომა კი ესპანურ, იტალიურ, რუმინულ ენებზეც.

მათემატიკაში მნიშვნელოვანი მიღწევებითაა ცნობილი ილია ვეკუა აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრად. ეს მეცნიერის დიდი აღიარება და პატივი იყო. ქართველ მათემატიკოსთაგან მხოლოდ ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა იყვნენ ამ სამეცნიერო წოდების მფლობელები.

1957 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება. ცნობილ აკადემიკოსებთან — მ. ლაფრენტევიანს, ს. სოსოლევთან და ს. სრისტიანოვიჩთან ერთად მის ორგანიზაციაში უმუშაო მინიშნულებას მიიღო ილია ვეკუამ. ციმბირის განყოფილების ცენტრი უნდა აშენებულიყო ქალაქ ნოვოსიბირსკთან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ დაუსახლებულ ადგილას, მდინარე ობის სანაპიროზე, რომელსაც შემდეგ აკადემიკოსი უწოდებს. მთავრობის გადაწყვეტილებით, აკადემიკოსი ილია ვეკუა 1957 წლის ბოლოს დაინიშნა მ. ლაფრენტევის, რომელიც მას ციმბირის არამთიან ბაგრაშის უბანში გადასახლება გადასცემდა. ილია ვეკუა აქტიურ მონაწილეობას იღებდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების უკავშირეობით გამართულ ღონისძიებებში.

საერთაშორისო მეცნიერულ კონტაქტებს ილია ვეკუა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის მრავალი კონგრესისა და სიმპოზიუმის მინაწევრი და ორგანიზატორი იყო.

1977 წლის 23 აპრილს, თავისი დაბადების 70-ე წლისთავზე, როცა ილია ვეკუა, მძიმე ავადმყოფი, სახლიდან ვერ გამოდიოდა, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები ბინაზე წვივნი მას. მიულოცეს დაბადების 70 წლისთავი და მსუბუქი ლტინის ორდენი გადასცეს. ამ თარიღის აღსანიშნავად 1977 წლის 12 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სა-ექტო დარბაზში პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ამაღლებული და თბილი შეხვედრა მოუწყვეს. იმ დღეებში ილია ვეკუამ მისივე დაბადების ძალიან და მოვიდა საყვარელ უნივერსიტეტში, ეწვიოდა საკუთარი დასუსტებული ხელით სჯ და რყო ქართული უნივერსიტეტის ჩაუქრობელი დიდების სიმბოლოდ.

ილია ვეკუას კიდევ მრავალი სასარგებლო ჩანაფიქრი შექმნა, მაგრამ, მძიმე სენით დაავადებულს, რომელსაც ათი წელი უტეხი ნებისყოფით ვეჭვნი ენობოდა, არ დასცავდა მათი განხორციელება. საოცარია, რომ მას ასეთ მდგომარეობაში მეცნიერული მუშაობა არ შეუწყვეტია.

ამ პერიოდში მან გამოსაცემად მოამზადა ორი მონოგრაფია — „ტენზორული ანალიზისა და კოვარიანტთა თეორიის საფუძვლები“ (რუსულად, 1978 წ., მოსკოვი), „გარსათა თეორია: აგების ზოგადი მეთოდები“ (რუსულად, 1982 წ., მოსკოვი), რომელიც 1985 წელს ინგლისურად გამოცა პიტმანის ცნობილმა გამომცემლობამ.

1977 წლის 2 დეკემბერს ილია ვეკუა საშუალოდ გამოითხოვა ახლომდებ. ის დაგრძალს მინაწილის პანთონში მისი მასწავლებლის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის გვერდით.

ილია ვეკუას სახელის უკვდავყოფად გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს, ასევე მეცნიერების საშუალო სკოლას და თბილისის 42-ე მათემატიკურ საშუალო სკოლას მისი სახელი მიეწოდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთი ასპირანტისთვის, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ერთი სტუდენტისთვის და ერთი ასპირანტისთვის დასწავლა ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია, დაწესდა აგრეთვე მისი სახელობის პრემია მათემატიკაში, ხოლო მის ბინას გაუკეთდა მემორიალური დაფა.

ილია ვეკუას სხონის პატივი მიაცეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტმა. 1981 წლის 15 მაისს აკადემიკოსის უნივერსიტეტში სახეობით ვითარებამ გაიხსნა მემორიალური დაფა მისი პირველი რექტორის ილია ვეკუას ბარელიეფით.

მომზადდა ილია ვეკუას მოსწავლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, ელენე ოზოლაშვილის წინასწარ „აკადემიკოსი ილია ვეკუა“ მიხედვით.

მეცნიერული შიშველობისათვის ოპტიმიზმი ნარმატების აუსილგობალი იარაღი

ილია ვეკუას მიმართვა ახალგაზრდა თაობისადმი

„ილია ვეკუას სიტყვა მოსმენად ღირდა“ – ბევრ მის მოწაფეს უთქვამს. მისი გულწრფელი და მიზანმიმართული მოხსენებები იმ პერიოდში გმირობის ტოლფასი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ვეკუას მიმართვა ახალგაზრდა თაობისადმი, რომელიც უკვე მძიმე ავადმყოფობის დროს დანერგა. ბატონმა ილიამ ეს მიმართვა გაუგზავნა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს, რომელიც მისი დაბადების 70 წლისთავს აღნიშნავდა. ილია ვეკუას წერილი საიუბილეო საღამოზე წაიკითხეს. ყველა ის პრობლემატიკა, რაზეც იგი ამ წერილში საუბრობს, დღესაც აქტუალურია.

ცხოვრების ის მანძილი, რომელიც მე გავიარე, საკმაოდ დიდია. ეს საშუალებას მაძლევს ახალგაზრდობის გაფიქსირებულ დავალებების საფუძველზე გამოტანილი ზოგიერთი მოსაზრება ჩემი გამოცდილებისა.

ცხადია, მე შედეგობაში მეტწილად შევნიერებ დაწინაურებული ახალგაზრდობა.

ჩვეულებრივ, გვევითებთან, რა არის საჭირო მეცნიერული მუშაობის ნარმატებულობის უზრუნველსაყოფად. ერთი შეხედვით, პასუხი სასებით ნათელია: ესაა სათაბლო ზღვრები მონაცემები, მონოლოგი და მუშაობის უნარი. თუ ადამიანს თანდაყოლილი ნიჭი აქვს და შრომისმოყვარეა, ის ყოველთვის მიაღწევს ნარმატებს იმ ხელსაყრელი პირობების გამოყენებით, რაც ჩვენს ქვეყანაში შექმნილი. მაგრამ ნიჭიერება და ღრმა შრომისუნარი ადამიანს სახეზე არ აწერია, არც მათი გამოვლენა ადვილი, რადგან ის ძალიან ღრმად ჩამარხული ადამიანში. დიდი დრო და დავიერება სჭირდება მის გამოშვარებას. ჩვენ ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როცა ახალგაზრდის ნიჭიერების შეფასებისას ვეყარებით მის ისეთ თვისებებს, რაც აწვარად ჩანს და იოლად ვლინდება. ზოგი ახალგაზრდა, როგორც სწავლაში, ისე ცხოვრებაში, ბრწყინვალე მანერებებს ავლენს, რაც ჩვენ გვებზავს და მისთვის ყველა კარი იოლად იხსნება, მაგრამ დროთა განმავლობაში, სამუშაოდ, ხშირად ის, რაც ბრწყინვალეა – ოქრო არ გამოდგება ხოლმე. ამიტომ ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდობის დანიშნულებისადმი დიდი სიფრთხილე

და დავიერება გემართება. მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და შერჩეული დარგისადმი სიყვარული. ჩვენი სასიხარულო მეცნიერი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი თვლიდა, რომ ამ სამი ნიშნისაგან ერთი – საგნისადმი სიყვარული – გადამწყვეტია მეცნიერებაში ნარმატების მისაღწევად. მეც, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილად ასეა.

ადამიანს ცხოვრების განაწილ თითქმის ყოველდღიურად მრავალი ცდუნება ელოდება. კერძოდ, ესაა სურვილი, ერთი შეხედვით სავესებით ბუნებრივი, ცხოვრების პირობების კეთილმოწყობისა – ჰქონდეს სეირიანი ბინა, კარგი ხელფასი, მანქანა, თანამდებობა და მრავალი სხვა. მეცნიერებაში ნარმატებებს მიაღწევს მხოლოდ ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი დარგი, ვინც ყველაფერზე მაღლა დააყენებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და შემოქმედების სფეროში ნარმატების მოპოვებას დაუქვემდებარებს ყველა სხვა ინტერესს. ვინც კი ასე მოიქცევა და ნარმატებებსაც მიაღწევს, მისთვის ცხოვრების სხვა მხარეები თანდათანობით მოგვარდება და გაცილებით უკეთესად, ვიდრე, შესაძლებელია, მას ახალგაზრდობის დროს ეახებოდა. ოღონდ, ამისათვის საჭიროა დრო და მოთმინების დიდი უნარის გამოყენება, კერძოდ, ადამიანის სულის მღრღნელი შურიანობის დაძლევა...

მე ბოლოში უნდა მოვიხადო, რომ ასეთი, არსებითად ტრივიალური აზრის გამოთქმას ამდენი ხანი მოვანდომე, რაც ალ-



ბათ მოსამხენად ძალიან მოსაწყენი იყო. მაგრამ ამაზე გავამსვილე ყურადღება იმის გამო, რომ მაშინ, როცა ამ წერილის წერა დაიწყო, თვალის ნარმატებმა ზოგი ბრწყინვალე ნიჭის მქონე პიროვნების ბედი, რომელთაც მეცნიერებას ხელი მოჰქონდა და ნარმატებთან შედარებით გაფრთხილებით მუშაობდა, მაგრამ პარალელურად დიდ დროსა და ენერგიას უთმობდნენ ცხოვრების კეთილმოწყობას, როგორც იტყვიან, არაფერს არ იკლებდნენ, ხოლო მეცნიერებისათვის ზრუნვა კი მხოლოდ ნარმატების მიღწევის შემდეგ აქცევს. ცხადია, მათ მეცნიერებაში სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს და ვმომბოძებ, რომ ამის ნამდვილი მიზეზი მათთვის შესაძლებელია ბოლომდეც არ იყო ნათელი. არაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ნარმატებლობას გარეშე, ე. წ. ობიექტური მიზეზებით ხსნიდა.

მეცნიერული შემოქმედების პროცესი ჩემ-მართა მეცნიერებისათვის დრამატული განცდებითაა აღსავსე. შეიძლება მეცნიერის ბევრი ნაშრომია უშედეგო გამოდგეს. ამას, ცხადია, მწვავედ განიცდის მეცნიერი. მაგრამ ამან


მუდმივ საგონებელში არ უნდა ჩააგდოს იგი. ნამდვილ მეცნიერს ყოველთვის აქვს პრობლემისადმი მიდგომის სათანადო მონაცემები ან ახალი, მონათესავე პრობლემაზე გადასვლის საშუალება. მეცნიერული შემოქმედებისათვის ობიექტში ნარმატების აუცილებელი (მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არასაკმარისი) იარაღია. ამიტომ მეცნიერი ყოველთვის ობიექტის უნდა იყოს, არც ერთ ვითარებაში მან ნარმატების რწმენა არ უნდა დაკარგოს.

მინდა ვუსურვო ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდა თაობას, ვისაც მეცნიერული შემოქმედებისათვის სათანადო მონაცემები აქვს, დღესიდანვე თავის საყვარელ საგანზე იფიქროს და დაუღალავად იმუშაოს. იქონიოს ამისათვის დიდი მონდობა და შრომისუნარიანობა. მხოლოდ ამ პირობებშია ნარმატება მოსალოდნელი; ამის გარეშე კი მარცხი გარდაუვალია.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. საუკეთესო სურვილებით

თქვენი ილია ვეკუა
05.05.1977. თბილისი

სტუდენტებთან მუშაობისას ილია ვეკუა სხვას დროს არ დაუთმობდა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოცემებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გიორგი ჯვარიანი თავისი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს ილია ვეკუას მოღვაწეობას ვერ კიდევ IX კლასში გაცნობია და მამისთვის უთქვამს – როცა გავიზრდები, სასწავლებლად აუცილებლად ილია ვეკუასთან წავალ. „მართალია, სკოლის დამთავრების შემდეგ ეს დანაპირები დამავიწყდა და სხვაგან გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება, მაგრამ, ახლობლების რჩევით, საბოლოოდ მაინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ვარჩიე. განგებამ იხება, რომ ბატონი ილიას ასპირანტი გავმხდარიყავი და დისერტაციაც მისი ხელმძღვანელობით დამეცვა“ – ამბობს ბატონი გიორგი. დღეს ის ილია ვეკუას დაარსებული და მისივე სახელობის გამოცემებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორია.

ხვერდადუმობით მიპასუხა – „მე რომ ვიცოდე, როგორ უნდა გამოიკვლიო, თავად გადავებდი ამ ნაშრომს. ეს შენი საქმეა და შენ უნდა იფიქრო, რა და როგორ გააკეთო.“

ის იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტებთან და ასპირანტებთან მუშაობას, რომ, სანამ არ ამოწურავდა მისთვის ყველა საინტერესო საკითხს, მთხოვნელთა ჯარივს რომ მდგარიყო კართან, წუთით არ შეამცირებდა დროს.

პროფესორი გიორგი ჯვარიანი განსაკუთრებული ინტერესით საუბრობს გამოცემებითი მათემატიკის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე და სახვასში აღნიშნავს აკადემიკოს ილია ვეკუას მასშტაბურ შრომებს. „ის დროს უსწრებდა“, ბრძანა ბატონმა გიორგიმ და იქვე წარმოგივლიდა ბატონი ილია ვეკუას მიერ ინსტიტუტისთვის განსაზღვრული მხნეები და ამოცანები.

– ბატონმა ილიამ დააარსა მამნიდელი სამეცნიერო საზოგადოებისთვის სრულიად ახალი ტიპის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება – გამოცემებითი მათემატიკის ინსტიტუტი. მისი მოსაზრებით, აქ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ინსტიტუტის შტაბში მომუშავე მეცნიერებთან ერთად უნდა ეწარმოებინათ უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებს და სტუდენტებს. სამუშაოები უნდა შესრულებულიყო საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ნამყარ სამეცნიერო ცენტრებთან ერთად. ინსტიტუტს უნდა ჰქონოდა მძლავრი გამოთვლითი პარკი, რომელიც მოემსახურებოდა ყველა დაინტერესებულ პირს, უნდა შესრულებულიყო დაკ-

ვეთები, კერძოდ, სამეურნეო და სახელმეურნეო სამუშაოები.

ეს იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დანიშნულების იმ დროისთვის ძალზე პროგრესული ხედვა. ბატონი ილიას გლობალური მეცნიერული აზროვნება ამასაც გამოიხატებდა – ის შეუცდომლად გრძობდა მეცნიერების განვითარების მიმართულებას.

გამოცემებითი მათემატიკის ინსტიტუტი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბატონი ილიას სტრატეგიით და ის, მართლაც, ერთერთი უძლიერესი სამეცნიერო დაწესებულება იყო მამნიდელ საბჭოთა სივრცეში. ყველასთვის ცნობილია მოვლენებმა გარკვეული დიდი დასავსა ინსტიტუტის მოღვაწეობასაც. ახლა კი კვლავ ჩნდება შესაძლებლობა – ინსტიტუტი განვითარდეს იმეკარად, როგორც ეს ესახებოდა ბატონ ილიას.

ვერ კიდევ მის სიცოცხლეში, მე ვიყავი ამ ინსტიტუტის სწავლული მდივანი. მქონდა ბედნიერება, მემუშავა ბატონი ილია ვეკუასთან და ვყოფილიყავი მონაწილე მისი პრინციპული, ღრმა მეცნიერული მუშაობისა.

თეორიული და გამოცემებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის სიმპოზიუმის (IUTAM) თბილისში ჩატარებასაც ბატონმა ილია ვეკუამ ჩაუყარა საფუძველი.

IUTAM-ი საუკუნოვანი და ავტორიტეტული ორგანიზაციაა. ამ ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, ილია ვეკუას წინადადებით, 1976 წელს მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში ჩატარებულიყო მესამე სიმპოზიუმი გარსთა თეორიაში.

ბატონი ილია 1977 წელს უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ ის ბოლომდე თა-

ვად ხელმძღვანელობდა სიმპოზიუმის ჩატარების საორგანიზაციო საკითხებს. პროფესორი გია ჯვარიანი დღესაც სათუთად იხაზავს ილია ვეკუას წერილს, რომელშიც კარგად ჩანს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერი სიმპოზიუმის ჩატარებას: „ახლა მე მაქვს თქვენთან თხოვნა. მოვიდა IUTAM-ის დადგენილება 1978 წ. თბილისში საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწყობის შესახებ. კომიტეტის თავმჯდომარედ მე ვარ დანიშნული. ახლა საჭიროა დაინერგოს დადგენილების პროექტი ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის დაარსების შექმნა. ეს უნდა გაიგზავნოს მოსკოვში მექანიკის ნაციონალურ კომიტეტში (ახლა აკად. მის. ლაბორატორია თავარე, მე შევუყვანივართ პრეზიდიუმის წევრად, სწავლულ მდივანად ნინანდებურად გ. კონსტ. მისაილივი) მე მიმანა მზანაშენილიად ამ სიმპოზიუმის მოწყობაში ორმა ინსტიტუტმა მიიღოს მონაწილეობა – ჩვენმა (ნამეცნიერ) და მათემატიკის ინსტიტუტმა. ეს ქალაქი მე გადავგზავნე აკადემიაში. უნდა თქვენთვის ეწვენიანთ. ერთი სიტყვით, ნახეთ ეს ქალაქი, შეადგინეთ სათანადო პროექტი და მომხმანეთ. უცხოეთის განყოფილებამ (აკადემიისა და სამინისტროსი, ალბათ) იცის, როგორ უნდა გაკეთდეს ეს. ეს ძალიან სერიოზული საქმეა.“

ბატონ ილია ვეკუას ამ სიმპოზიუმის ყველა წერილში თავად განსაზღვრავს, მისი ჩატარების თარიღიც კი („ამბ. გ. ჯვარიანი, ამბ. ნ. კახნიშვილი! გაეგზავნოს სათანადო მიმართვა საკავშირო აკადემიას, რომ მოეწყოს ეს საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში. დაინიშნოს ჩატარების ვადა, ალბათ, უფლებების აკრედიტაციის ბოლო რიცხვები. საბჭოთა კავშირის აკადემიის პრინციპული თანხმობის მიღების შემდეგ პროექტი გაეგზავნოთ პროფ. ნორდსონს და კომიტეტის სხვა წევრებს. ჩვენ პროექტში უნდა გაეთვალისწინოთ, რომ სიმპოზიუმი ჩატარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემებითი მათემატიკისა და თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე. ი. ვეკუა 31. 1. 1977“).

გიორგი ჯვარიანი იხსენებს, რომ ყველაფერი ისე გაგვიტყ, როგორც ილია ვეკუა თხოვდა. მხოლოდ თავად ბატონი ილია ვერ მოქსნრო ამას...

ილია ვეკუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1958 წ. აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.
- 1958-1964 წწ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის, ფიზიკა-მათემატიკისა და ტექნიკის მეცნიერებათა გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს წევრია.
- 1959-1961 წწ. ჟურნალის „Вестник Академии наук СССР“ რედაქციის წევრია.
- 1959-1964 წწ. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველი რექტორია. მუშაობდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის მათემატიკური ფიზიკის კათედრის გამგედ და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ჰიდროდინამიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების გამგედ.
- „ციმბირის მათემატიკური ჟურნალის“ რედაქციის წევრია.
- 1961 წ. დაჯილდოვდა ლენინის ორდენით სპეციალისტების მომზადებასა და მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისთვის.
- 1963 წ. მიენიჭა ლენინური პრემია მონოგრაფიისათვის „Обобщенные аналитические функции“.
- აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების ბიუროს წევრად.
- 1964 წ. თბილისის უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის მათემატიკის კათედრის გამგე.
- 1964 წ. ნოემბერი – 1965 წ. დეკემბერი – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.
- 1965-1972 წწ. თბილისის უნივერსიტეტის რექტორია.
- 1966 წ. აპრილი – მეორედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.
- იენისი – აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.
- 1969 წ. მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.
- 1970 წ. მესამედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
- 1971 წ. დაჯილდოვდა ს. ვავილივის სახელობის მედლით.
- 1972 წ. აირჩიეს საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.
- იყო თსუ კიბერნეტიკის ფაკულტეტის ეგემის მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრის გამგე.
- 1973 წ. აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.
- 1975 წ. მეოთხედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
- 1976 წ. აირჩიეს პალერმოს (სიცილიის) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის უცხოელ წევრად.
- 1977 წ. აპრილში, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, მჭუთედ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
- 1977 წ. 2 დეკემბერს გარდაიცვალა.
- 1984 წ. ნაშრომისათვის „Некоторые обшие методы построения различных вариантов теории оболочек“ მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.
- 1987 წ. საქართველოს სახანონის ერთერთ გემს ეწოდა „აკადემიკოსი ვეკუა“.
- სხვადასხვა წლებში მიღწეული იყო პოლენეთში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების III ყრილობაზე, მონაწილეობდა რუმინეთის მათემატიკოსთა ბუჩარესტის კონგრესის მუშაობაში, მიავლინეს ფინეთში (ჰელსინკი) კომპლექსური ცვლადის ფუნქციის თეორიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კოლოკვიუმზე, მონაწილეობდა ედინბურგის საერთაშორისო მათემატიკური კავშირის გენერალური ასამბლეისა და მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, მიავლინეს პოლანდიაში დრევიტ თხელი გარსების თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ, მივლინებულ იქნა იტალიაში თეორიული და გამოცემებითი მექანიკის X საერთაშორისო კონგრესზე, ასევე შევიცარაბი მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეისა და მათემატიკოსთა საერთაშორისო ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ, ამერიკის მათემატიკური საზოგადოების მინევეით იმყოფებოდა ამერიკის შერთებულ შტატებში, მიავლინეს რუმინეთში მექანიკოსთა ყრილობაზე, ბერლინში – კარლ ვაიერშტრასის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიანზე, ლიუვიციში – მათემატიკური საზოგადოების წლიურ კრებაზე, მიავლინეს პარიზში, როგორც უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრი, ჩილეში – როგორც სსრკ უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრი, ვიანაში – IV საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც მიუძღვნა მათემატიკის გამოცემების ტექნიკურ მეცნიერებებში.

გარდა და დაგვიტოვა გამონათქვამები: „ვეკუას ინტეგრალური წარმოდგენები“, „ვეკუას ბარსთა თეორია“, „ვეკუას განვითარებული ფუნქციები“...

აკადემიკოს ილია ვეკუას უკანასკნელი მონოგრაფია „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდი“, რომელიც 1982 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, მათემატიკურ საყაროში ალიარე-ბულია, როგორც ერთერთი უნიკალური მეცნიერული ნაშრომი, თუმცა ის ქართულად მხოლოდ ახლა ითარგმნა.

მონოგრაფია თარგმნა პროფესორმა თენგიზ მუხარბიამ, რომელმაც ილია ვეკუასადმი უდიდესი მონივნების ნიშნად, ნაშრომის ქართულ ენაზე დაბეჭდა მის სსოფსა მიუძღვნა.

თენგიზ მუხარბია, პროფესორი: — არიან ადამიანები, ღმერთისაგან მიორსხვებულნი, რომლებიც მთელი არსებით ატარებენ ერის ტრადიციებს, მის ენერჯიას, ტემპერამენტს, ნიჭსა და სიბრძნეს. მათ ხელწიფებთ, ერთი მსოფლიო ასპარეზზე წარმოაჩინონ. ეს რჩეულთა ხვედრია და სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნება თანამედროვეობის გამოჩენილი მათემატიკოსი და მექანიკოსი, აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომლის დაბადებიდან 100 წლის-თავსაც ამ დღეებში გვიმობთ.

ილია ვეკუას წინაპრები ჩხორი-წყის რაიონის სოფელ ახუთის მკვიდრნი ყოფილან. გასული საუკუნის შუა ხანებში თურქეთის ომში ნაწყობი მისი ბაბუა — თედო ვეკუა, მშობლებთან ერთად სოფელ შემელეთში, ისტორიულ სამურზაყანოში, დღევანდელ გალის რაიონში, დასახლებულა. აქ გაიზარდა ბატონი ილიაც.

„ჩემი ბავშვობისა და შრომის წლები მე სოფელსა დაგვატოვა, — წერს თვითონ ილია ვეკუა, — ეს იყო ჩვეულებრივი, რევოლუციის წინაპროინდელი საქართველოს ტიპური კუთხე. იქ ცხოვრობდა მშრომელი გლეხკაცობა, მართალია, სწავლა-განათლებას მოკლებული, მაგრამ ღრმად გააზრებული, მტკიცე ტრადიციებით აღჭურვილი. ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქც ხალხი უყოყმანოდ იცავდა უსსოვარ დროიდან დამკვიდრებულ და ურყვე ტრადიციად ქვეულ მალაღმწივრობრივ წრემებს. დიდი ისტორიული გზაგამოვლილი ხალხი ამაში ხედავდა ადამიანის არსებობის მთავარ აზრსა და მიზანს, მაგრამ მძიმე ვითარებაში, როცა გლეხკაცობას უმდაბლესი საფეხურები ეკავა გრძელი სოციალური იერარქიის ასავალზე, ცხადია, ძალიან რთული იყო მალაღმწივრობრივ პრინციპების დაცვით ცხოვრება.

დიდი თავდადება და გაბედულება, დიდი გამჭრიახობა და განიერება იყო საჭირო, რომ გლეხკაცს ადამიანური ღირსება და სინდისი დაეცვა, მისი ოჯახის პატიოსნება და სინდისი შეენახა. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, ხალხი მაინც ახერხებდა სიკეთის, კაცთ-მოყვარობის, თავდადებისა და უანგარო მეგობრობის სანიშნო მგავალით გამომეტყველებინა.

თქვენ იშვიათად ნახავდით პირდაპირი მოვალეობის შესრულების წინაშე უკან დახვევის ან სინდისთან შემრგებლობის და სილამობის სამარცხვინო ფაქტებს.

ამ ვითარებაში მე გავიარე ცხოვრების პირველი სკოლა, რომელმაც ღრმა გავლენა იქონია ჩემს მორალურ აღზრდაზე. ამ გარემოცვაში მიგეზნია მე მშობლიური ზრუნვისა და აღზრდის განუყოფელი სიტუაცია და სიტოზ“ — იგონებს ილია ვეკუა.

ილია ვეკუა ხანდაზმულობაში ხშირად იგონებდა ბაბუას, თედო ვეკუას და სიყვარულითა და გატაცებით ჰყვებოდა ხოლმე ბაბუასთან დაკავშირებულ რაინდულ ეპიზოდებს. მისმა ქალისმშობელმა ლამარამ, რომელიც არ მოსწონებოდა დიდ ბაბუას, მამის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, უფროს ვაჟიშვილს ილია დაარქვა და მესამე ვაჟიშვილს კი თედო, რომელიც ახლა გერმანიაში პიადელებურის ცნობილი უნივერსიტეტის დოქტორია. იქვე მათი შუათანა ძმა, ფიზიკოსი ნიკოლოზი თავსებდებოდა. ბაბუის სპეციალობა მხოლოდ უფროსმა შვილისმშობელმა ილია თავსებდებოდა აირჩია. მან დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, იქვე დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, დღეს კი თსუ-ს პროფესორია.

ილია ვეკუა თავისი წინაპრებისაგან მეცნიერებით მიღებულ რაინდულ ბუნებას ამჟღავნებდა თავისი ცხოვრების ძნელსა და რთულ პერიოდში: იქნებოდა ეს დრამატუზმით აღსავსე მისი ახალგაზრდობის თუ ცხოვრების უკანასკნელი წლები — უკურნებელი სენით დაავადებული გვირუკის შემართებით რომ დაუხვედა სიკვდილს და ტიტანური შრომის შედეგად მოასწრო ორი მონოგრაფიის დასრულება. მათგან ერთმა მისი გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფო პრემია მიიღო. ამაზე აქვს ნათქვამი კონსტანტინე გამსახურდიას: „დააკვირდითო — დიდი კაცის სიკვდილი“.

თუმცა მათემატიკა ილია ვეკუას მონოდების საგანი იყო, სკოლის დამთავრების შემდეგ მას გადაწყვეტილი ჰქონდა, სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, ვინაიდან ზუგდიდში სწავლის წლებში ის გაიტაცა ისტორიულმა და ლიტერატურულმა საკითხებმა, წერდა რეფერატებს, გამოდიოდა დისპუტებზე და საღამოებზე. უნივერსიტეტში საბუთების შესაქნად მიმავალს, შეხვდა ახლობელი — ეკონომიკური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, გეგეჭკორი, და თავდაპირველი გადაწყვეტილება შეაცვლივინა. მისი რჩევით, ილია ვეკუამ საბუთები ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შეიტანა.

შემდეგ ამ ამბავზე ილია ვეკუა მისთვის დამახასიათებელი იუმორით იტყვის: „ჩემმა ცდამ, ისტორიკოსი გამოვსულიყავი, ფუჭად ჩაიარა. შეიძლება ეს ისტორიკოსებისათვის სასარგებლოც გამოდგას, რადგან მათ რიგებს არ შემატეხია ერთი ცუდი ისტორიკოსი“.

ეს იყო დრო, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ: ანდრია რამზაძე, გიორგი ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი და არჩილ სარაძე — აი, ის დიდებული ოთხეული, რომელსაც წილად ხვდა შეესრულებინა უდიდესი ეროვნული მისია — მათემატიკური კულტურის შემოტანა და დაწინაურება საქართველოში.

სამწუხაროდ, არ არსებობს ცნობები, რომ ჩვენ, ქართველებს, ძველად გველოდეს მეცნიერ-მათემატიკოსები, მაგრამ, მეორეს მხრივ, მაღალი მათემატიკური კულტურის გარეშე წარმოუდგენელი ისეთი უნიკალური ტაძრების აგება, როგორცაა ჯვარი, გელათი, ბედი, სვეტიცხოველი და სხვა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის მსოფლიო აღიარება, რომელსაც ასეთ მოკლე პერიოდში მიადნია ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ.

თავდაპირველად მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლა ილია ვეკუას მაინცდამაინც არ მოსწონებია. როგორც ცნობილია, სასკოლო მათემატიკა და უმაღლესი მათემატიკა მაშინ ძალიან დამორბეული იყო ერთმანეთისაგან, მაგრამ ბუნებრივმა ნიჭმა თავისი გაიტანა და უკვე მეორე კურსიდან ილია ვეკუა გატაცებით და სიყვარულით სწავლობს სპეციალურ საგნებს.

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი იგონებს: „როდესაც ერთი წლის შემდეგ, 1931 წელს მე ლენინგრადში ჩავდი, აკადემიკოსმა ალექსი კრილოვმა შესანიშნავად დამიხასიათა ჩვენი თანამემამულე, ხოლო როცა თვითონ მოვუსმინე სემინარზე მის ერთერთ მოხსენებას, უდიდესი კმაყოფილება ვიგრძენი, რადგანაც ერთხელ კიდევ დაფრწმუნდი, რომ ილია ვეკუას სახით ბრწყინვალე მომავლის მათემატიკოსი გვეჩვენებოდა“.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი და მეორე პრეზიდენტები: ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა

სამი წლის განმავლობაში ილია ვეკუა გახდა სრულიად ჩამოყალიბებული მეცნიერი, სერიოზული მათემატიკური გამოკვლევების ავტორი, რომელიც შემდგომში ყოველთვის კმაყოფილებით აღნიშნავდა პეტერბურგის მათემატიკური სკოლის დიდ ტრადიციებს, ამ ბრწყინვალე ქალაქ-მუხუცემის მაღალ კულტურას, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მასზე. ჯერ კიდევ 1930 წელს ლენინგრადში საფუძველი ჩაეყარა ილია ვეკუასა და სერგეი სობოლევის მტკიცე მეგობრობას, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ეს ორი დიდი მათემატიკოსი.

ჯერ კიდევ ლენინგრადში ყოფნი-სას, ილია ვეკუა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია ელიფსური განტოლებების საკმარისად ფართო კლასისათვის მოიძებნოს ამონახსნითა და მოგადი წარმოდგენებით და, რაც მთავარია, ამ წარმოდგენების საშუალებით შეიქმნას სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნის ახალი მეთოდები. მანამდე მათემატიკოსების დამოკიდებულება ამ საკითხსადმი საკმაოდ სკეპტიკური იყო. როგორ გამოეყენებინათ ეს ზოგადი ამონახსნები მათემატიკური ფიზიკის ძირითადი ამოცანების ამონახსნებად. თვით ვეკუა დროის უდიდესი მათემატიკოსებიც კი, როგორც იყო დავით პილბერტი და მისი მოწინააღმდეგე კურანტი, თავიანთი მათემატიკური ფიზიკის ორტომიან მონოგრაფიაში (რომელიც 30-იან წლებში გამოიცა), ეჭვს გამოთქვამენ ზოგადი წარმოდგენების გამოყენების შესაძლებლობაზე.

დღეს მათემატიკურ საყაროში საყოველთაოდ მიღებულია, რომ სკეპტიციზმის დაძლევა განუწყურებლად დაკავშირებულია ილია ვეკუას სახელთან. მის მიერ 1936 წელს დაწყებული ინტენსიური გამოკვლევები 40-იან წლებში დასრულდა ორი ცვლადის ელიფსური ტიპის განტოლებათა მწყობრივი ანალიზური თეორიის შექმნით.

ეს შედეგები საფუძვლად დაედო ილია ვეკუას სადოქტორო დისერტაციას — „ელიფსური განტოლებათა ამონახსნის კომპლექსური წარმოდგენები და მათი გამოყენება სასაზღვრო ამოცანებში“, რომელიც მან დაცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1939 წელს, 32 წლისა.

ცნობილია, რომ პირველად ილია ვეკუამ გამოიკვლია ორი ცვლადის ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებები, როდესაც სასაზღვრო პირობა წარმოდგენილია მაღალი რიგის დიფერენციალური ოპერატორის საშუალებით და მიიღო მისთვის ე.წ. ინდექსის ფორმულა. ეს შედეგი საფუძვლად დაედო ინდექსის თანამედროვე თეორიას, კერძოდ, პრობლემას ინდექსის აგების შესახებ, მრავალგანზომილებიან სივრცეში. შემდგომ, ამ პრობლემის მიუძღვნეს გამოკვლევები: მისმა მოწინააღმდეგე, პოლინელმა ბოიარსკიმ, ქართველმა ტოპოლოგმა ნოდარ ბერიკაშვილმა, უცხოელმა მათემატიკოსებმა მ. ატამ, ე. ზინგერმა და სხვებმა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ილია ვეკუას მიერ მიღებულმა შედეგმა ფართო და ღრმა განვითარება მიიღო.

მოსკოვში მოღვაწეობის ხანა ილია ვეკუასთვის არანაშული წარმატებებითა და მსოფლიო აღიარებით აღინიშნა. აქ მან ზედმიწევნით გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც ავტო ახალი ე. წ. განვითარებული ანალიზური ფუნქციის ახალი შტო, რომელიც, ანალიზური ფუნქციის კლასიკურ თეორიასთან ერთად, წარმოადგენს ერთერთ მძლავრ აპარატს ახალი ამოცანების ამონახსნებად, როგორც თეორიულ, ასევე გამოყენებით მათემატიკაში. განვითარებული ანალიზური ფუნქციისათა თეორია ილია ვეკუამ წარმატებით გამოიყენა გეომეტრიისა და მექანიკის ამოცანების შესასწავლად. კერძოდ, ზედაპირთა უსასრულოდ მცირე ღუნვის თეორიისა და გარსების უმომენტო თეორიის შესასწავლად. ილია ვეკუას ეს შედეგები თავმოყრილია მის მონოგრაფიაში „განვითარებული ანალიზური ფუნქციები“, რომელიც 1959 წელს გამოსცა მოსკოვში და რომლისთვისაც მას 1963 წელს მიენიჭა ლენინური პრემია.

ილია ვეკუას შედეგები შევიდა სახელგანთქმული მეცნიერების მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებსა და მიმოხილვებში. ორივე მისი მონოგრაფია ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ და ჩინურ ენებზე, ხოლო ცალკეული შრომები — ესპანურ, იტალიურ, რუმინულ და სხვა ენებზე.

გაიწინდა და დაჰყვივრდა გამონათქვამები: „ვეკუას ინტეგრალური წარმოდგენები“, „ვეკუას ეკვივალენტობის თეორემა“, „კარლმან-ვეკუას ლეგურალიზაციის მეთოდი“, „ლიუვე-ვეკუას თეორემა“, „ვეკუას განვითარებული ფუნქციები“, „ვეკუას გარსთა თეორია“ და სხვა.

1959 წლის 9 იანვარს ის დაინიშნა ახალგაზრდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველ რექტორად.

უმოკლეს ხანში ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი მძლავრ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად იქცა და მოწინავე უნივერსიტეტთა რიგებში ჩადაგა, როგორც ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტმა ჩვენი თანამემამულის რექტორობის პერიოდში (1959-1964 წლებში) პირველი მაღალკვალიფიციური კადრები გამოიუშვა. რად დღის ის ფაქტი, რომ პირველი გამოშვების სტუდენტებიდან მრავალი უკვე სახელმწიფო მეთეორია. მაგალითად, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი იური ერმოვი, რომელიც ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორიც კი გახლდათ.

ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული მუშაობით დიდი დატვირთვის მიუხედავად, ილია ვეკუა მუდამ პოულობდა დროს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ციმბირის პერიოდში იგი ჩართული იყო თანამედროვე მათემატიკისა და მყარი ტანის მექანიკის ახალი დარგების დამუშავებაში, როგორცაა, მაგალითად, არანრფივი ელიფსური ტიპის განტოლებისათვის ზოგადი წარმოდგენების გამოყენება და გარსთა თეორიის საკითხების დამუშავება.

დრეკადი გარსები ფართოდ გამოიყენება ტექნიკის სხვადასხვა დარგში. საკმარისია დავასახელოთ: კოსმოსური ხომალდის კორპუსი, თაღოვანი კაშხალი (მა-

გალითად, ენგურჰესი), წყალქვეშა ნავის კორპუსი და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ გარსული ტიპის სხეულებს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება მოთხოვნილებებს, მით უმეტეს, როცა გაჩნდა სხვადასხვა ტიპის, ზებგერითი სიჩქარით მფრინავი ობიექტები, დღის წესრიგში დააყენა გარსების დასუსტებული თეორიის შექმნის საკითხი, ვინაიდან კლასიკური თეორია, რომელიც ემყარება კირგოფ-ლიავის პიპოთეზებს, ვერ წყვეტდა ნამოქმარი წინააღმდეგობებს. ინტენსიური მუშაობის შედეგად ილია ვეკუამ შემოგვთავაზა გარსების დასუსტებული თეორიის აგების რამდენიმე ვარიანტი, რომელიც თავმოყრილია მის მონოგრაფიაში „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტების აგების ზოგადი მეთოდები“, რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დაამთავრა. მონოგრაფია გამოიცა 1982 წელს, ინგლისურად ითარგმნა 1985 წელს, ხოლო სახელმწიფო პრემია მიიღო 1984 წელს.

ამავე პერიოდს განეკუთვნება, მისი მეორე, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მომზადებული შესანიშნავი მონოგრაფია „ტენზორული ანალიზისა და კოვარიანტთა თეორიის საფუძველები“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1978 წელს, რუსულ ენაზე, ხოლო 1982 წელს თბილისში გამოვიდა ამ წიგნის ქართული ვარიანტი. ამ წიგნში ბევრია ავტორის საკუთარი შედეგი გეომეტრიიდან და მექანიკიდან, და, რაც მთავარია, მოცემულია მათემატიკის ახალი აქტუალური მიმართულების — კოვარიანტთა თეორიის თავისებური გაშუქება. საწყენია, რომ ეს წიგნი ჯერჯერობით ჩრდილშია, მაგრამ ეტყვი არ არის, რომ სულ მალე ის იპოვოს თავის ერთგულ მკვლევარებს ჩაბარდნა.

მეცნიერს, ალბათ, კიდევ მრავალი სასარგებლო ჩანაფიქრი ექნებოდა, მაგრამ, მძიმე სენით დაავადებულს, რომელსაც ათი წელი უტყვი ნებისყოფით ჯიუტურ ებრძოდა, არ დასცალდა მათი განხორციელება.

ილია ვეკუა გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. მადლიერმა ერმა მას სამუდამო სასუფეველი დაუშვიდრა მთაწმინდის მინაზე, თავისი მასწავლებლის ნიკო მუსხელიშვილის გვერდით.

მისი ერთერთი ბოლო ნაჭვია, რომელიც მან გრიფელის დაფაზე დაუწერა თავის საყვარელ მოწაფეს, აკადემიკოს ანდრო ბინაძეს, ასე მოაგონებდებოდა: „მე უფრო მეამბოხა, მათ ჩვენმა ახალგაზრდობამ გააგრძელოს ამ პრობლემებზე მუშაობა“.

და რაოდენ სასიხარულოა ის ამბავი, რომ ილია ვეკუას პრობლემებზე მუშაობა დღეს გრძელდება.

დასასრულ, მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო ილია ვეკუას ცხოვრების ბოლო დღეებზე.

გარდაცვალებამდე 4-5 დღით ადრე მასთან იმყოფებოდნენ ახლო მეგობრები და ნათესავები. ლაპარაკი ჩამოვარდა ითარქაქიშვილის ოპერაზე „მთვარის მოტაცება“, რომელიც იმხანად წარმატებით დადგა ბორის პოკროვიცის მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე.

ილია ვეკუამ ჩემსკენ გადმოიხედა და ხელით მანიშნა, მიხვდი, რომ ის მთხოვდა ნამეკითხა რაიმე მხატვრული ეპიზოდი „მთვარის მოტაცებიდან“.

ცხადია, მე დავიწყე: „მთვარემ გადმოსხედა ახლად აყვავილებულ...“ მაგრამ მან უტყვი თავი გააქნია და ხელი წაიღო გრიფელის დაფისკენ. მივუხსლოდი მას და დავინახე დაფაზე დაწერილი ასოები: „აფს...“

მიხვდი, რომელ ადგილს უნიშნებდა და დავიწყე: „ერთი უცნაური სიმღერა გამოგონია აფხაზეთში. გაპრადას არა ჰგავს იგი ურუნტელის მომგერებს, არც ახრასებს, დაკოდის რომ უმღერებენ, მოსალბუნენ სინაზით სავსეს, ჩონგურის მოსოტორურ ჟღარუნში არეულს. არც აზრს, თარჩას დროს შესაძებნებს, დაიცურე, ამბარუნე კვილით რომ გამოუდგებიან ნითელურანგინან ვაფს, ჩაბაბლასი ნელ-გაკურულს, შავჩოხიანი ცენოსნები.“

არც იმას, მარულას დაწყებისას ნაბდით შებურვილ ცენს რომ ეტყვიან აფხაზეთი ზარითა და დამბაჩების სროლით.

არა, სულ სხვაა ეს ღამეული მგზავროლი.

ურგავას უწოდებენ მას“. ეს იყო ალბათ, მისთვის მშობლიური კუთხის, მშობლიური აფხაზეთის ბოლო გაელვება.

ილია ვეკუა მეცნიერთა თაობაში აღზარდა



ავადემიკოსი ილია ვეკუა, რომლის დაბადების 100 წლისთავი ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივად აღინიშნება, იმ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერებისადმი, თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი ერთგულების ნათელი მაგალითია. ილია ვეკუას წინააღმდეგ გამხდარიყო მსოფლიოში განთქმული მათემატიკოსი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

ის ახალგაზრდობიდანვე ჩაება სამეცნიერო მუშაობაში და წარმატებით ითვისებდა არა მარტო მათემატიკურ სიახლეებს. ის გახლდათ კულტურის ძეგლთა, ისტორიის, ხელოვნების და ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესანიშნავი მცოდნე.

მისი სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფიები, მათ შორის, „ელფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“, „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ და „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტების აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდი“, მათემატიკურ მეცნიერებაში სამართლიანად მიიჩნევა უმნიშვნელოვანეს კვლევებად.

ილია ვეკუა, უკვე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი იყო, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ამ დროიდან მან მთელი თავისი საქმიანობა დაუკავშირა ქვეყანაში მეცნიერებისა და განათლების შემდგომი განვითარების საქმეს.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ილია ვეკუას დიდი ორგანიზატორული ნიჭი. მისი ხელმძღვანელობით სულ რამდენიმე წელში უნივერსიტეტი გადაიქცა ერთერთ ნამყვან უმაღლეს სასწავლებლად, უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების სამჭედლოდ. სწორედ მისი რექტორობის დროს გაფართოვდა და განმტკიცდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დონე, დამთავრდა საუნივერსიტეტო კომპლექსის მნიშვნელოვანი ეტაპი.

ილია ვეკუა ქართულ მეცნიერებაში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიაში დარჩა, როგორც ერთერთი გამოჩენილი ფიგურა — აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მიღწეული სისრულით გამოამყვანა განსაკუთრებული ნიჭი, უდავლად ცხოვრებისეული გამოცდილება, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი პრაქტიკა.

ილია ვეკუა იყო კადრების შესანიშნავი აღმზრდელი. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა — თბილისში, მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში — თავის გარშემო ნიჭიერ ახალგაზრდობას იზიდავდა. ბატონმა ილიამ მეცნიერთა მთელი პლეადა აღზარდა.

მრავალრიცხოვანი მონაწილეობით, ქართველი ხალხი არასოდეს დაიწყებდა თავის შესანიშნავ მეცნიერს, მეცნიერების დიდ ორგანიზატორს, დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეს, გულისხმიერ, კეთილშესრულ და ჭეშმარიტ მოქალაქეს — ბატონ ილია ვეკუას.

თამაზ გამყარლიძე
აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

ვერონიკის ბირთვულ კვლევათა ცენტრთან ქართველი მეცნიერების თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ ილია ვეკუას რეპტორობის დროს გამოიკვამთა

ვერონიკის ბირთვულ კვლევათა ცენტრის ილია ვეკუას დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს, მინდა შევეხო მის უნიკალურ თვისებას — მხარდაჭერას იმ ახალი სამეცნიერო მიმართულებებისადმი, რომლებიც უშუალოდ მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ერის ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის შექმნაში. მხედველობაში მჭებს თანამედროვე საქართველოში ფიზიკის დარგების ჩამოყალიბება და განვითარება.

მოვლენების ნიჭვერეტა ჭეშმარიტი მეცნიერის და მეცნიერების ორგანიზატორის თანდაყოლილი თვისებაა. ბატონ ილიას ეს თვისება გამოიბრძოდა იმ დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისას, რომელსაც წარმატებით ეწეოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, უკანასკნელ წუთამდე.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი ილია ვეკუა, მის დიდ მასწავლებელთან, აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილთან ერთად, აყალიბებს კარგად ცნობილ ქართულ მათემატიკურ სკოლას. მათემატიკაში მისი შრომები სამეცნიერო საზოგადოებისათვის ფართოდ არის ცნობილი. ილია ვეკუა დაჯილდოებულია უმაღლესი სამეცნიერო სახელმწიფო პრემიებით. მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და საჯარო შრომ აკადემიის აკადემიკოსად. წარმატებულ მეცნიერს და უმაღლესი პარტიული სასჯელის დამძიმებელი ილია ვეკუას, მსოფლიოში აღიარებული მოსკოვის მათემატიკური საზოგადოების მხარდაჭერით და მონაწილეობით, 1951 წლიდან სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელება უნებს მოსკოვში — მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში და ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ პერიოდში აქ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ მეცნიერებათა კორიფეები, რომელთა უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ზორციელდებოდა ქვეყანაში მეცნიერების განვითარების სტრატეგია. ციმბირის რეგიონში მეცნიერული ათვისების გრანდიოზული პროექტი განხორციელდა და შეიქმნა საჯარო აკადემიის ციმბირის განყოფილება, რომელიც დაფუძნდა ნოვოსიბირსკთან დაარსებულ აკადემიკოსში, აკადემიკოს მ. ლავრენტიევის ხელმძღვანელობით. ბატონი ილია ამ პროექტის აქტიური მხარდაჭერით და მონაწილეობით მისი უშუალო ხელმძღვანელობით აკადემიკოსში, ციმბირის განყოფილებასთან, ჩამოყალიბდა მსოფლიოში მიღებულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის პირველ რექტორად აკადემიკოსი ილია ვეკუა აირჩიეს.

ბატონი ილია თითქმის 15 წელი მოღვაწეობდა რუსეთში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა ფუნდამენტური შრომების ციკლი, რომელშიც გამოიკვეთა მათემატიკის ახალი მიმართულება — განზოგადებული ანალიზური ფუნქციათა თეორია. ეს გამოკვლევები საფუძვლად უდევს აკადემიკოს ილია ვეკუას ფუნდამენტურ მონოგრაფიას — „განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია“, რომელიც 1959 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა. მონოგრაფიამ საერთაშორისო სამეცნიერო აღიარება დაიმსახურა და მას უმაღლესი სახელმწიფო სამეცნიერო პრემია მიენიჭა. ბატონი ილია მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებას აღიარა, როგორც მეოცე საუკუნის ნამყვანი მათემატიკოსი. 1964 წელს ღვაწლმოსილი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი საქართველოში დაბრუნდა და უშუალოდ ემსახურა მეცნიერების განვითარებას თავის ქვეყანაში, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და, შემდგომში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ბატონი ილია ახლოს გავიცანი 1953 წელს, როდესაც მისი ქალიშვილი ლამარა და ჩემი ძმა ნომრევიანი დაქორწინდნენ. ამ პერიოდში ჩავიხსენებ თბი-



აკადემიკოსი ალბერტ თავგილიძე (მარჯვნიდან პირველი) თსუ-ს 50 წლის საიუბილეო სხდომაზე. 1968 წ.

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში და საშუალება მომეცა ბატონ ილიასა და ბატონ ნიკო მუსხელიშვილთან მესაუბრა ჩემი შემდგომი სამეცნიერო მუშაობის პერსპექტივაზე. მათი რეკომენდაციით, ასპირანტურაში სწავლა გავაგრძელე მოსკოვის მათემატიკის ინსტიტუტში, აკადემიკოს ნიკოლოზ ბოგოლიუბოვის ხელმძღვანელობით. საჯანდიდატო დისერტაციაში შევისწავლე ელექტრო-მაგნიტური ძალის საფუძველზე ელემენტარულ ნაწილაკთა ურთიერთგარდაქმნის პრობლემები. მასში წარმოვაჩინე, რომ ეს პროცესები აღიწერება გარკვეული ტიპის სინგულარული ინტეგრალური განტოლებებით, რომელთა თეორია წინა საუკუნის ოცდაათიან წლებში დაამუშავა აკადემიკოსმა აილი მუსხელიშვილმა, ილია ვეკუას და მათი მონაწილეობის მიერ დრეკადობის თეორიის პრობლემების შესწავლასთან დაკავშირებით. ამრიგად, წარმოვიგე საერთო სამეცნიერო პრობლემა, რომელზე მუშაობამაც მჭიდროდ დამაკავშირა ბატონ ილიასთან, რაც შემდგომში გადაიზარდა სამეცნიერო თუ სამეცნიერო-ორგანიზაციულ თანამშრომლობაში.

ბატონ ილიასთან, როგორც უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ხშირი საუბრები მქონდა უნივერსიტეტში თანამედროვე ფიზიკის პერსპექტიული დარგების განვითარებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით 60-იან წლებში მსოფლიოში ჩამოყალიბდა უაღრესად პერსპექტიული სამეცნიერო მიმართულება — მაღალი ენერგიების, ანუ ელემენტარული ნაწილაკთა ფიზიკა, რომლის განვითარება ემყარებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგების უახლესი მიღწევების გამოყენებას, როგორც თეორიულ, ასევე ექსპერიმენტულ კვლევებში. ფიზიკის ამ დარგის განვითარების საფუძველზე დღეს ახალ დონეზე წყდება სამყაროს წარმოშობისა და ევოლუციის პრობლემები, ბირთვული და თერმო-ბირთვული ენერჯის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ინფორმაციული ტექნიკის განუწყვეტილ სრულყოფა და, კერძოდ, ინტერნეტი მეცნიერების ამ დარგის პირველი ნაბიჯები.

მაღალი ენერგიების ფიზიკა უაღრესად ძვირად ღირებული დარგია. მხედველობაში მიიღეს რა იმ დარგის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, ორნივედაათიან წლებში დასხვავდა ევროპის ნამყვანმა ქვეყნებმა ნილობრივი ფინანსირების პრინციპზე შექმნეს ბირთვული კვლევების ცენტრი ფენეცში. პარალელურად, სოციალისტური ქვეყნების მონაწილეობით, მოსკოვის ახლოს, დუბნაში დაარსდა ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი. სოციალისტური სისტემის დაშლის მიუხედავად, ამ ცენტრიდან არც ერთი ქვეყანა არ გასულა, ხოლო სამაქოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები დღეს დუბნაში თანამშრომლობენ

თავისი ქვეყნის ახალი სტატუსით. კოლექტიური საერთაშორისო ცენტრების შექმნა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში დღეს მეცნიერების განვითარების ერთერთი ძირითადი ფორმაა. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად შემოსავლიან ქვეყნებს ბაზური დანადაგარების ნილობრივი ფინანსირებაში შეუძლიათ არ მიიღონ მონაწილეობა. მათ შეუძლიათ თითქმის სიმბოლური გადასახადის მეშვეობით სხვადასხვა ქვეყნებთან კოლაბორაციაში კონკრეტული ექსპერიმენტების დაგეგმვა და განხორციელება, რა თქმა უნდა, თუკი ქვეყანას ამ დარგში მომზადებული სპეციალისტები ჰყავს. მაღალი ენერჯიების ფიზიკის დარგში საქართველომ სწორედ ეს გზა აირჩია.

სამოციანი წლების დასაწყისში თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის დონეზე ჩამოყალიბდა მაღალი ენერჯიების დარგში მომუშავე ახალგაზრდა ფიზიკოსთა ძლიერი ჯგუფი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტთან დუბნაში და ჰქონდა საერთაშორისო კოლაბორაციაში მუშაობის დიდი გამოცდილება. ბატონი ილია, უკვე როგორც რექტორი, ჩამოსვლისთანავე დეტალურად გაეცნო ლაბორატორიის სამეცნიერო მუშაობის სპეციფიკას, დუბნაში ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტთან და სხვა საერთაშორისო ცენტრებთან თანამშრომლობის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს. ამ გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით, მას ხშირი საუბრები ჰქონდა ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორ ნ. ბოგოლიუბოვთან. აკადემიკოსი ნ. ბოგოლიუბოვი კეთილგანწყობით შესვდა გაერთიანებული ინსტიტუტის მეშვეობით ქართველი მეცნიერების უშუალო მონაწილეობას ევროპის ბირთვულ კვლევათა ცენტრთან, რისი განხორციელებაც დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდა. მინდა შევნიშნო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველომ სახელმწიფოს დონეზე გააფორმა თანამშრომლობა ევროპის ბირთვულ კვლევათა ცენტრთან ფენეცში. დღეს საქართველო წარმატებით თანამშრომლობს მასთან უშუალოდ და დუბნის მეშვეობითაც.

1976 წელს თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ლაბორატორიის ბაზაზე ჩატარდა მაღალი ენერჯიების ფიზიკის (როჩესტერის) საერთაშორისო კონფერენცია. ეს მეტად პრესტიჟული კონფერენცია იმართებდა პერიოდულად ორ წელიწადში ერთხელ, რომელზეც ამ დარგში აქტიურად მომუშავე დაახლოებით 1500 დელეგატი იკრიბებოდა, ისმენს ამ პერიოდში მიღებულ თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევათა მიღწევებს და სახასხ დარგის განვითარების პერსპექტივას მსოფლიოში. კონფერენციის წარმატებით ჩატარებამ დაადასტურა ლაბორატორიის მუშაობის მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო

დონე და 1977 წლის ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ინსტიტუტი. მის დირექტორად დაინიშნა მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ამაღლობელი.

ზამი მინდა გავუსვა, რომ საქართველოში მაღალი ენერჯიების ფიზიკაში მუშაობის კარგმა ტრადიციამ გააპირორა ევროკავშირისა და ნატოს გრანტების მოპოვება, რომელთა საშუალებითაც მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ინტერნეტის ქსელი, რომელიც წლების მანძილზე უფასო მომსახურებას უწევდა მეცნიერებათა აკადემიას და სახელმწიფო უნივერსიტეტებს.

ბატონი ილია დაიბადა და ბავშვობა გაატარა გალის რაიონის სოფელ შეველეთში. ამ კუთხის სიყვარული შემდგომში აფხაზეთის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებისადმი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში აისახა. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სოხუმში, ატომურ პროექტთან დაკავშირებით, დაარსდა ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, სადაც ინტერნეტულ იქნა რიგი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერებისა. თავისი ინსტიტუტით ეს იყო დაზღუდული ინსტიტუტი, რომელიც ექვემდებარებოდა შესაბამის სამინისტროს და საქართველოს სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან არ ჰქონდა კავშირი. სამოქალაქიანო წლების დასაწყისში დაისვა ინსტიტუტის დირექტორის შეცვლის საკითხი. აკადემიკოსებმა ნ. ბოგოლიუბოვმა, ა. ლოგუნოვმა და მეწამოყვენიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ რ. სალუქაძის კანდიდატურა, რომლის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე ბატონი ილია, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. მან გაიზარა ჩვენი ინიციატივა და შესაბამის ცენტრალურ ინსტიტუტში რეკომენდებული გახდა. მინდა შევნიშნო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველომ სახელმწიფოს დონეზე გააფორმა თანამშრომლობა ევროპის ბირთვულ კვლევათა ცენტრთან ფენეცში. დღეს საქართველო წარმატებით თანამშრომლობს მასთან უშუალოდ და დუბნის მეშვეობითაც.

აკადემიკოსი ილია ვეკუა გახლდათ უმაღლესი პროფესიონალი მეცნიერი და პედაგოგი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თავის სამშობლოს დიდი პატიოტი.

ალბერტ თავგილიძე
აკადემიკოსი

ილია ვეკუას რა რჩევა გაითვალისწინა გალაკტიონმა

„ილია ვეკუას და ჩემი სიახლოვე ჩვენი სტუდენტობის პერიოდთან დაიწყო“ — აკანკალებული ხელით წერს 97 წლის ცნობილი გეოფიზიკოსი, აკადემიკოსი ბენო ბალავაძე ჩვენი გათვალისწინებული წერილში, რომელშიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს ილია ვეკუას დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნის გამო. ბენო ბალავაძე ერთადერთია დარჩენილი ილია ვეკუას თაობის მეცნიერთა შორის, ვინც ახალგაზრდობისდროინდელ მოგონებებს იხსენებს და უკვე წარსულს მიჯაჭვული ველარ სცილდება იმ პერიოდს, როცა თავდადებული მუშაობა, საინჟინერო დისკუსიები, ექსკურსიები, მშენიერი საღამოები და ლხინი — მათ ცხოვრებას დაუფინყარს ხდიდა.

ბენო ბალავაძე:
— ბატონო ილია ყელის კიბოთი გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით მას ხშირად უხდებოდა მოსკოვში თავის მკურნალებთან ჩასვლა. საკვირველი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ილია ვეკუას ამ პერიოდში თითქმის არ შეუმცირებია მუშაობის ტემპი. ის დღე და ღამე მუშაობდა. ასე ამბობდა: — მე ექიმი არ ვარ, ჩემი თავის მკურნალობაზე რომ ვიფიქრო, ეს ექიმების საქმეაო და... დღე და ღამე მუშაობდა.

ერთი ჩემი მეგობარი მომიყვა, როგორ დაემგზავრა თვითმფრინავში ილია ვეკუას, რომელიც მოსკოვში მიფრინავდა. „ჩემს გვერდზე აღმოჩნდა ილია ვეკუა — კაცი, რომელთანაც შეხვედრად და საუბარს სანატრული მქონდა. გამიხარდა, ვიფიქრე — რა ბედნიერი კაცი ვყოფილვარ, რომ დღეს ამ თვითმფრინავით მივფრინავ და ჩემს გვერდით ილია ვეკუა ზის. 2 საათის განმავლობაში ვისაუბრებ“ — თურმე გეგმებს აწყობდა ჩემი მეგობარი. მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი — დაჯდა თუ არა ილია ვეკუა თავის სავარძელში, გახსნა პორტფელი, იქედან

ვის წარმოუდგენელი ამბავი იყო. ბედნიერება იყო ლენინგრადში გატარებული ჩვენი ყოველი დღე. ეს პერიოდი თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო მოგონებებთან არის დაკავშირებული. ილია ლენინგრადში ჩვენზე ადრე იყო ჩასული, ამიტომ მისი საშუალებით ბევრ რამეს იოლად ვაღწევდით. გვასწავლიდა — როგორ უნდა მოვქცეულიყავით, როგორ უნდა შევხვედროდით, მაგალითად, ნიკო მარს, რომელიც მაშინ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ილია ვეკუა ამშვენებდა იმ საღამოს, როდესაც ერთი რუსი მეცნიერის ოჯახში (რომლის მეუღლე გვარად ბარათაშვილი იყო), ჩვენ, ქართველმა ასპირანტებმა, გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა მოვანწყვეთ. გალაკტიონი ლენინგრადში ჩამოვიდა თავისი ლექსების რუსულ ენაზე გამოცემისთვის. გალაკტიონ ტაბიძეს უნდოდა თანამედროვე ხასიათის ლექსების წაკითხვა კოლმეურნეობაზე. ჩემმა მეგობრებმა, ილია ვეკუამ და შოთა ძიძგურამ მას ურჩიეს: — თქვენი ლექსები წაკითხეთ და ხალხს გააგვიყებ-



(წინა რიგში) ილია ვეკუა და ბენო ბალავაძე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საერთაშორისო კონფერენციაზე მალღვი კორპუსში. 1968 წ.

ამოიღო რვეული და დაიწყო წერა. „მე მოლოდინში ვიყავი, როდის მორჩებოდა ბატონი ილია წერას, მაგრამ ისე ჩაფიქრდით მოსკოვში, რომ მას მუშაობა არ შეუწყვეტია.“ — აი, რა მომიყვა მან.

ილია ვეკუამ თავისი უკანასკნელი მონოგრაფია სწორედ ასეთ პირობებში დაამთავრა. ეს მონოგრაფია მისი სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო პრემიამ წარადგინა.

ილია ვეკუას ჰყავდა ძალიან დიდი მეგობრები. პირველ რიგში, მხედველობაში მყავს — აკადემიკოსი ალექსი კრილოვი, ეს ვეებურთელა ფიგურა და ბატონი ნიკო მუსხელიშვილი, რომლებიც საუბრისას ერთმანეთში არკვევდნენ — რომელმა აღმოაჩინა ილია ვეკუა?

ლოენინგრადში, მიუხედავად იმისა, რომ 2 წლით გვიან ვსწავლობდი, მე და ილია ვეკუას მაინც გვიხდებოდა შეხვედრა. ილია ვეკუა გავიცანი მაშინ, როდესაც ანდრია რაზმაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მისი ბინის აივანიდან სიტყვით გამოვიდა. მან ძალიან ლამაზი სიტყვა თქვა.

ილია ვეკუა იყო კეთილშობილი კაცი. რა არის მტრობა? — ეს მისთვის. დაუჯერა მათ გალაკტიონმა და, მართლაც, მშვენიერი საღამო გამოვიდა გალაკტიონის სასარგებლოდ.

ილია ვეკუა, რამდენადაც ბუმბერაზი მეცნიერი იყო, იმდენად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი გახლდათ. მიმიყვანა აკადემიკოსობის დასრულებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — ილია ვეკუა მოსკოვში იყო სამკურნალოდ. მე, მივლინებაში ჩასულმა, მოვიხანხე და მოვასხენე: — გბრუნდები თბილისში და ხომ არ დამავალბებ რაიმეს? მან მითხრა: — მალე აკადემიის საერთო კრება გაიმართება და ვთხოვ ყველას — ჩემს მოღვაწეობას აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე, გადაჭარბებული შეფასება არ მისცენ, რადგან ეს ჩრდილს მიყენებს საპატიო პრეზიდენტის — აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის პიროვნებას.

დამეთანხმებით, თუ როდენ მრავლისმთქმელია მისი დიდი მასწავლებლის მიმართ თქმული ეს მოკლე ფრაზა... ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ.

ილია ვეკუას ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია მომავალი თაობებისათვის!

არ ველოდი ასეთი რანგის დავალებას



ილია ვეკუა სემინარზე გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში

1956 წელი. „ლენინის (უნინ „ბელურაანთ“) მთები“. განათლებისა და მეცნიერების დიდებული ტაძარი — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აქ წინათ სამეფო სასახლე იდგა, 1547 წელს ივანე მრისხანე გაიხიზნა მოსკოვის დიდი ხანძრის უამს). ზღაპრულად ნაგები და განყოფილი მალღვი შენობა (მარმარილო, ბრინჯაო, ბროლი, კვავალი). მეთექვსმეტე სართული — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სადაც იმ დროს მოღვაწეობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მათემატიკოსები: პ. ალექსანდროვი, ა. კოლმოგოროვი, მ. ლავრენტიევი, ი. პეტროვიჩი (მაშინდელი რექტორი), ლ. სობოლევი, ა. ტიხონოვი, ი. გელფანდი, ა. ხინინი, ლ. ლუსტერნიკი, ი. შაფარევიჩი, ბ. დელონე, ა. კუროში, ვ. ნემიციკი, ვ. გოლუბევი... და ამ შესანიშნავ პლეადას მოულოდნელად მხარი დაუშვეს ი. ვეკუამ...

მე ეს ასე განვიცადე: ზამთრის არდადეგების დამლევს გამოკრულ ცხრილთან მივედი, რათა ლექციების განრიგი შემეტყო. ვკითხულობ: ინტეგრალური განტოლებები — პროფესორი ი. ვეკუა. სახტად დავარჩი, მოუთმენლად ველი პირველ ლექციაზე ილია ვეკუას გამოჩენას. სინამდვილეში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, აუდიტორიაში დინჯად შემოვიდა კონსტანტინე შუახინის ქარმაგი მამაკაცი (უნდა ითქვას, რომ ჩვენი გამოჩენილი მათემატიკოსები, მცირე გამოწვლიის გარდა, ჩაცმულობას არადა აგებდნენ). ეცვა ლურჯი, ტანზე კარგად მორგებული კოსტიუმი, ქათქათა თეთრი პერანგი, ეკეთა შინდისფერი შალსტუნი — ოდნავ მუქი ფოთლებით ამოქარგული.

ლექცია დაიწყო. ბატონი ილია იდეალურად ფლობდა ლექტორის ხელოვნებას და საგანს, რომელსაც დიდი გულისხმიერებით გვასწავლიდა.

გამოხდა ხანი. დადგა საკურსო თემების აღების დრო. მე დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა კათედრას განვეკუთვნებოდი, სადაც ბატონი ილია მოღვაწეობდა. ერთერთი მისი ლექციის დასასრულს მოწინებით მივმართე და ვთხოვე, ჩემთვის თემა მოეცა. იგი ერთხანს ჩაფიქრდა და შემდეგ მითხრა: „სულ ახლახან ჩემთან იყვნენ კავშირგაბმულობის სამინისტროდან. სურთ, მათთვის საჭირო ინტეგრალური განტოლების გამოკვლევა, სახელდობრ, მინიმალური საკუთრივი რიცხვის პოვნა. ვგონებ, კარგი საშუაო იქნება.“

დავიბნე, არ ველოდი ასეთი რანგის დავალებას. თავდაუზოგავად ვიმუშავე მთელი თვე. შედეგით კმაყოფილმა მივმართე ბატონ ილიას. მან გულდასმით მომიხიზნა და, ჩემდა განსაცვიფრებლად, მსჯელობაში ღრმად დაფარული შემუშნეველი შეცდომა ადვილად აღმოაჩინა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე შევძელი დავალების პირნათლად შესრულება.

ამის შემდეგ ბატონი ილიას ხელმძღვანელობით ვეკურსულე სადიპლომო ნაშრომი, რომელიც გარსთა თეორიას განეკუთვნებოდა. დიპლომზე მუშაობისას იგი ხშირად მიბარებდა თავისთან ბინაზე და კონსულტაციას მიწევდა.

1956 წელი. დავამთავრე მოსკოვის უნივერსიტეტი და დავბრუნდი თბილისში. ორიოდე წლის შემდეგ ილია ვეკუა გადავიდა ნოვოსიბირსკში და შეუდგა უნივერსიტეტის დაფუძნებას.

ცხრა წლის შემდეგ ბატონი ილია ჩამოვიდა თბილისში, როგორც ჩვენი მეცნიერება აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და თბილისის უნივერსიტეტში აარსებს გამოყენებითი მათემატიკის პრობლემურ ლაბორატორიას, რომლის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო სამეცნიერო განყოფილებები. ერთერთი ასეთი განყოფილების (დიფერენციალური განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის) ჩამოყალიბებასა და ხელმძღვანელობას რევზ გამყრელიძესა და მე გვთავაზობს. ეს განყოფილება, ბატონი ილიას ხელშეწყობით, სულ მალე ოპტიმალური მართვის თეორიაში ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების კერად გადაიქცა.

1968 წელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სათავეში უდგას აკადემიკოსი ილია ვეკუა. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ამირჩია დეკანის თანამდებობაზე. როგორც დეკანს, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი მიხდებოდა რექტორთან. ბატონი ილიას უდიდესმა მეცნიერულმა ავტორიტეტმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა საოცარი ნაყოფი გამოიღო — მოკლე ხანში აიგო და ამოქმედდა უნივერსიტეტის მალღვი შენობა. ამ შენობაში განთავსდა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სადაც თერთმეტი აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპოდენტი მოღვაწეობდა და რვაასამდე სტუდენტი სწავლობდა.

იქვე აიგო გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შენობა (პრობლემური ლაბორატორია ინსტიტუტად ჩამოყალიბდა).



ილია ვეკუა, იენის უნივერსიტეტის რექტორი ფრანც ბოლვი (მარჯვნივ) და სერგო ჯორბენაძე. 1970 წ.

ორსართულიანი ლამაზი შენობა, რომლის ეზოც პატარა შადრევანითა და იშვიათი სილამაზის მცენარეებით იყო დამშვენებული. ამ ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა. აქ 1970 წელს ბატონი ილიას თაოსნობით და რევზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით ოპტიმალური მართვისა და ახალგაზრდა საინჟინერო საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა.

1972 წელი. მიბარებს რექტორი და მეუბნება: „არის აზრი, რომ თქვენ (ოფიციალურ ვითარებაში ბატონი ილია თქვენობით მომმართავდა) უნდა უხელმძღვანელოთ მართვის სისტემების ინსტიტუტს (ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, დიდებული პიროვნება — არჩილ ელიაშვილი). ბატონი ნიკო (აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი) თავისთან გაბარებთ.“

ტანში გამყრა. მიგვხვდა, რომ მოსახდენი მოხდებოდა — ასეთი იყო მიღებული გადაწყვეტილება.

ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა ნიკომ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობა ბატონ ილიას გადააბარა.

ამის შემდეგ მე, როგორც აკადემიის ერთერთი ინსტიტუტის დირექტორს, მჭიდრო ურთიერთობა მიხდებოდა აკადემიის პრეზიდენტთან.

ბედნიერი ვარ, რადგან გულწრფელად შემძლია განვაცხადო, რომ ბატონ ილიასთან ჩემი ურთიერთობა იყო მუდამ კეთილშობილური, რაც მისი კეთილშობილური ნიჭით იყო განპირობებული. იგი იყო დიდი ბუნებისა და დიდი ნიჭის ადამიანი. მადლობა უფალს, რომ ასეთი შექმნა, მადლობა ღმერთს, რომ წილად მარჯუნა მის გვერდით ყოფნა.

გურამ ხარატიშვილი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

მან შექმნა დაამტკიცა, რომ მათემატიკა ლაგაზია

ინტერვიუ ილია ვეკუას თანამშრომელთან ციცი გაბისკირიასთან



რიზარდ კურანტი სტუმრად ილია ვეკუასთან. 1968 წ.

ეს, ალბათ, მხოლოდ დიდ მეცნიერს შეუძლია, ფილოლოგი, პოეზიის მოტრფიალად ადამიანი დაარწმუნოს, რომ მათემატიკასაც ბევრი აქვს საერთო ხელოვნებასთან. — ამბობს ციცი გაბისკირია, რომელმაც დასავლეთ ევროპის ქუჩებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და თავისი სპეციალობით სწავლის გაგრძელებას ასპირანტურაში აპირებდა. ქალბატონი ციცის საბედნიეროდ, იმ წელიწადს უნივერსიტეტში, ინგლისური ენის სპეციალობაზე, ადგილები არ იყო და ისიც იძულებული გახდა, ილია ვეკუასთან „დროებით“ ემუშავა. 1967-1977 წლებში მის ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო და ბედნიერი იყო. ურთიერთთანამშრომლობა ორივესთვის ნაყოფიერი გამოდგა. დროთა განმავლობაში ქალბატონი ციცი მისი თანამოაზრე და მეგობარიც გახდა. დიდმა მეცნიერმა ილია ვეკუამ მას სრული ნდობა გამოუცხადა.

როგორ გაინაწია ფილოლოგი მათემატიკური ტექსტების თარგმნაში, ილია ვეკუას გვერდით რა გამოცდას გაუძლო და რით იყო განსაკუთრებით შთაბეჭდილი მეცნიერთან ერთად მუშაობა, ამ თემებზე სასაუბროდ ქალბატონი ციცი გაბისკირია სიამოვნებით დავთანხმდა.

— ილია ვეკუას წინადადება მივიღე, მაგრამ ჩემს ძაღლებში დარწმუნებული არ ვიყავი. ლონგფელოს ორი ლექსის გარდა, არაფერი მქონდა ნათარგმნი. გამოსაცდელად ფიზიკის ინსტიტუტში ცნობილ მთარგმნელ არდა რობერტის ასულ აზოვთან გაგზავნა. თან ღიმილით დააყოლა, ნუ გეშინია, პოეზიას და მათემატიკას ბევრი აქვს საერთო. თავიდან ძალიან გამიჭირდა მათემატიკური ტექსტების თარგმნა, მაგრამ

რამ ნელ-ნელა გავიჩინე, ასპირანტურაში ადგილი ისევ არ ჩანდა და მეც შევეჩვიე მასთან მუშაობას. ჩვეულებად ჰქონდა, ნათარგმნს ჩემთან ერთად გადახედვდა და ჩაასწორებდა. ერთხელ ვთარგმნიდი მის სტატიას, რომელიც მოსკოვში უნდა წაეკითხა სიმპოზიუმზე. რამდენიმე ფრაზა შეშინდა ისეთი, ვერაფერი მოვეუწერებ. ბოლოს მიველ აზვას ჯერ კითხვის ნიშანი დაუდგინე, ესეც არ ვიკმარე და ორ-

სიტყვიან წინადადებად ვაქციე. ჩემდა გასაკვირად, იგი დამეთანხმა და სიცილით მითხრა: ხედავ, როგორ გამოგადგა ლონგფელო.

— ცნობილია, რომ თქვენ ილია ვეკუას ნაშრომების თარგმნის გარდა, პირად მიმოწერაშიც ეხმარებოდით...

— მას მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან წერდნენ, ინვესტორები სიმპოზიუმებზე, მე უშუალოდ თვალყური უნდა მედევნებინა მიმოწერისათვის. ბატონ ილიასთან კონსულტაციის შემდეგ, მეგალებოდა პასუხის დაწერა და სტილისტურად გამართვა. იყო შემთხვევები, როდესაც სრულიად მენდობოდა. ინგლისური თვითონაც იცოდა. მართალია, სკოლა რაიონში დაამთავრა, მაგრამ მოსკოვში ორ თვეში შეისწავლა. ლინგვისტური ნიჭით იყო დაჯილდოებული.

მე მრავალგზის ვყოფილვარ მომსწრე, რაოდენ პატივისცემით და მონივნებით ეპყრობოდნენ ბატონ ილიას ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში უნივერსიტეტში იმართებოდა მსოფლიო მასშტაბის სიმპოზიუმები, კონფერენციები, ფორუმები. საქართველოს სტუმრობდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: ჰოვი და ვინი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კოიტერი — პოლანდიდან, ნიორდსონი — დანიიდან, ბეგერა — გერმანიიდან, ფიკერა — იტალიიდან. ისინი გულწრფელად აღიარებდნენ, რომ აქ იყო დიდი მათემატიკური სკოლა. იმ პერიოდში ქართველი მეცნიერები საქართველოს დესპანები იყვნენ უცხოეთში. წარმოადგინეთ, ჩემი პასუხისმგებლობა, როდესაც ასეთ მეცნიერებს პასუხს ვწერდი.

— რამდენად ჰქონდათ ქართველ მეცნიერებს იმ დროს საქართველოში მუშაობის საშუალება?

— სახელმწიფო უნივერსიტეტში სწორედ მაშინ დაარსდა გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი, როდესაც ელექტრონული მექანიზმები მეცნიერ-

ებაში ახალი სიტყვა იყო. ეს, რა თქმა უნდა, ბატონი ილიას დამსახურება გახლდათ. ის კაბინეტში თავის შრომებს ჩაჩერებული მეცნიერი კი არ გახლდათ, არამედ ორგანიზატორული ნიჭითაც გამოირჩეოდა. ეს ინსტიტუტი ბევრ უცხოელს აკვირებდა იმით, რომ იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ასეთი რამ მოხერხდა.

— საზოგადოებას ილია ვეკუა ორი უნივერსიტეტის რექტორობითაც დაამახსოვრდა. თქვენ როგორ გაიხსენებთ მას, როგორც რექტორს?

— სულ მეშინია, როდესაც ჩემს აზრს გამოვთქვამ, მიკვირებოდა არ ჩამომართვან — მე ხომ მისი უახლოესი ადამიანი ვიყავი. საოცრად მონსრეგებული, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან მკაცრი, ფიცხი ხასიათი ჰქონდა. მისი ემინოდათ კიდეც. ამ დროს მთხოვდნენ, მასთან შეესულიყავი. მახსოვს, როგორ გამოვიდა მდგომარეობიდან, როდესაც ერთმა პირიქვანმა თანამდებობა მოითხოვა: — რატომ აქეთ ასეთი ამბიციები, ჯერ იმუშაოს და დაამტკიცოს, რომ თანამდებობას იმსახურებსო! ახალგაზრდობასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. დაინტერესებული იყო ჰუმანიტარული მეცნიერებით, განსაკუთრებით ისტორია უყვარდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხო ენის ცოდნას — კონტაქტებისათვის აუცილებელიაო! — სწორად ამბობდა.

— როგორი იყო პირად ურთიერთობაში?

— ძალიან კომუნიკაბელური. იყო არაჩვეულებრივი მასპინძელი, თამადა. ის ისეთი გაცილდა და თავისუფალი იყო, რომ არ ღელდობოდა, ვერც კი წარმოიდგენდით, რომ თქვენს წინაშე დიდი მეცნიერი იდგა. მისი საუბარი იუმორით იყო შეზავებული. უზარმაზარი ფორუმები და სიმპოზიუმები ასევე უზარმაზარი ნაღიშებით მთავრდებოდა, რაც ქალბატონ თამარ ვასილენას მხრებზე გადადიოდა. მათ ოჯახში სუფერა ხელოვნების ნიმუში იყო და უცხოელი სტუმრები, რომლებსაც მუულები ას-

ლდნენ, გაოცებას ვერ ფარავდნენ. ბატონმა ილიამ ერთხელ ანეგდოლი მათარგმნა, მითხრა: — თუ გაიცინეს, ესე იგი, გაიგესო. მე შევეცადე, აზრი სწორად გადმომეცა, რეაქცია არნახული იყო. მაშინ მითხრა: — მართლა გცოდნია ენაო. მახსენდება, ასევე, მნიშვნელოვანი სიმპოზიუმი, რომელიც მოსკოვში, კრემლში გაიმართა. მოულოდნელად სცენაზე ამიყვანა და მთხოვა, ამ მსოფლიო ელიტის თანდასწრებით მთარგმნა ტექსტი რუსულიდან ინგლისურად. ბოლოს კი დაამატა: — მართალი იმითომ კი არ მივალნი ამდენს, რომ ბევრს ვეშუაობ, იმიტომაც, რომ ასეთი კარგი მთარგმნელი მყავსო.

— თქვენ მისადმი მადლიერება იმ ნივთიან გამოხატვით, რომელიც ილია ვეკუას მიუძღვნით?

— ინგლისურ-ქართულ მათემატიკურ ლექსიკონზე მუშაობა ბატონი ილიას სიცოცხლეშივე მისი რჩევით დავიწყე. წინასიტყვაობაში მას მადლობას ვუხვდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ნივთს იხილავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნი დაგვიანებით, მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა. ცნობილია, რომ ბატონმა ილიამ თავისი ცხოვრების ბოლო, უმძიმეს დღეებში დაამთავრა მოსკოვში „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგადი მეთოდი“. მე მქონდა პატივი, მისი ეს ბოლო ნაშრომი ინგლისურ ენაზე მთარგმნა. იგი გამოცდა „პიტმანის“ გამოცემულია, რომელიც უდავლად ლონდონში და ჰქონდა თავისი მოთხოვნები — თუ ნივთში ბევრ შეცდომას ითვალვინებ, ის იმორჩება მონორარზე. საბედნიეროდ, ეს გამოცდაც წარმატებით ჩავაბარე.

გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ბატონ ილიას სახლში ვესტუმრე და მე და ჩემმა ვაჟმა მისი დალიცვა მივიღეთ. წლების მანძილზე მან შექმნა დამეტიკვირება, რომ მათემატიკა ლაგაზია. ის ხომ ბუნებით შემოქმედი ადამიანი იყო და ყველაფერში ჰარმონიას ხედავდა...

მისი სიტყვა — საქმიანი იყო და საქმე — სიტყვიანი

ილია ვეკუამ, უნიკალური ნიჭითა და ძლიერი ნებისყოფით გამორჩეულმა ადამიანმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მათემატიკური სკოლის, ზოგადად, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში. ილია ვეკუას რექტორობის პერიოდში წამოიშალა უნივერსიტეტის ახალი კორპუსები და თითქმის ყველა აკადემიური ინსტიტუტის ახალი შენობა; კვლევითი ლაბორატორიები დაიჭურვა ახალი მოწყობილობებით, თანამედროვე აპარატურითა და გამოთვლითი ტექნიკით.

ის რეალურად ახდენდა გავლენას სამეცნიერო კოლექტივების საქმიანობაზე, ყოველთვის იწონებდა გაბედულ ძიებებს, იდეებსა და შეხედულებებს, ახალისებდა ახალ აზრებსა და მიდგომებს, რომელთა შედეგადაც აღმოცენდებოდა და ვითარდებოდა მეცნიერების ახალი მიმართულებები.

უსამზვროდ მადლიერი ვარ ბედის, რომ სწორედ იმ წლებში ვმუშაობდი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. მქონდა ბედნიერება, მეთანამშრომლა და მნიშვნელოვანი სამთავრობო გადაწყვეტილებები განმეხილა ბატონ ილიასთან ერთად. მისგან ყოველთვის რაღაც ახალს ვსწავლობდი, აღფრთოვანებული ვიყავი მისი ადამიანობითა და აზროვნების მასშტაბურობით.

ილია ვეკუა გარშემო ყოველთვის მოაზროვნე ადამიანებს იკრებდა. მიჩვეული იყო ფიქრს, იმის თქმას, რასაც ფიქრობდა და იმის კეთებას, რასაც სწორად მიიჩნევდა. მისი „სიტყვა — საქმიანი“ გახლდათ და „საქმე — სიტყვიანი“. სწორედ ეს უიშვიათესი მაღალი ხიბლავდა ამ ადამიანში ყველას, ვინც კი ბატონ ილიას იცნობდა, მასთან მუშაობდა და ურთიერთობდა.

მახსოვს, თუ როგორი მოკრძალებული პატივისცემით წარმოთქვამდნენ ილია ვეკუას სახელს 1972 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გერმანულ მხარესთან საბჭოთა სწავლულების დელეგაციის მოლაპარაკებების დროს; როგორ გამოარჩევდნენ და აღიდებდნენ ბატონ ილიას გერმანიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიისა და გერმანიის მათემატიკოსთა საზოგადოების წარმომადგენლები.

განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს მის ერთგულებას მეცნიერული მიზნისადმი; მის აქტიურ, მოუხვეწარ, მაძიებელ ბუნებას, ცხოვრების მაჯისცემის მიყურადების უნარს, ნიჭიერი ახალგაზრდებისადმი გულსხმიერებას, ახალი იდეების მხარდაჭერისა და საკუთარის განზარებისთვის მზადყოფნას.

ილია ვეკუას ჰქონდა იმის მაგიური ნიჭი, რომ საქართველოსკენ მოქმედა ყველაფერი საუკეთესო, მნიშვნელოვანი და ფასეული, რაც კი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ეგულებოდა და იმავდროულად, მსოფლიოსთვის შეუთავსებელი ყველაფერი ღირებული, რაც ახასიათებდა და წარმოადგენდა მოაზროვნე და შემოქმედებით საქართველოს.

ყველას ახსოვს, თუ რა როლი შეასრულა იმ პერიოდში საქართველოში გამართულმა ფრიად საინტერესო სამეცნიერო ფორუმებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო ზეიმებმა, გამოჩენილი ქართველი სწავლულების იუბილეთა აღნიშვნამ.

ეს ღონისძიებები მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ყურადღებას იპყრობდნენ. მათ აქ ინვესტდნენ და ისინიც ეცნობოდნენ ქართულ სამეცნიერო სკოლებს, საქართველოს ისტორიასა და კულტურას. თავის მხრივ,

მათ ბევრი რამ ახალი შემოქმენდათ რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრებაში.

ამ ფორუმების ხშირი სტუმარი გახლდათ ილია ვეკუას კოლეგა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მსტისლავ კელიძი, რომელიც, ისევე, როგორც ბატონი ილია, დიდი მათემატიკოსისა და მექანიკოსის ნიკოლოზ მუსხელიშვილის მოწაფე იყო.

თავისი დროის ასეთ გამოჩენილ და საინტერესო პიროვნებებს ადამიანური ურთიერთობის ისეთი სიმაღლე ახასიათებდა, როგორც მარადიულ ფასეულობებსაგან დაცლილ ჩვენს დროში თანდათან იშვიათობას წარმოადგენს.

ყოველთვის ამ გრძნობით მაგონდება გარდასული წლების საგულისხმო მოვლენები და ბატონ ილიასთან პირველი შეხვედრა მოსკოვში, 1957 წლის ივნისში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი და მე, რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში, მოსკოვის გავლით მივმგზავრებოდით ლენინგრადში, ქალაქის 250 წლისთავის ზეიმზე. სადგურზე თავისი მასწავლებლისა და მეგობრის გასაცილებლად მოვიდნენ ილია ვეკუა — ამჟამად, მამხილებელი, მონუმენტური და ელვანტური — ჭეშმარიტი გრანდი და მისი მეუღლე, დიდებული და უღამაზესი ქალბატონი თამარ ბარნოვი-ვეკუა.

ისინი საოცარ სულიერ სინამდევასა და გულთაძობას, შინაგან სინათლესა და სიმწიფეს, ღირსებასა და კეთილშობილებას ასხივებდნენ. ეს შესანიშნავი ადამიანური თვისებები მთელი სიცოცხლე საკადრისად ატარეს და ხალხში ნათელი ხსოვნა და დიდი სიყვარული დატოვეს.

ვიმძორია სირამძე

რა დააბარა ჩილეს პრეზიდენტმა ილია ვეკუას ქართული ხალხისთვის გადასაცემად

1966 წლის სექტემბრის ბოლოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩილეს ესტუმრა და ათი დღის განმავლობაში ეცნობოდა ამ ქვეყანას.

იმ დროს საქართველოში არნახული ზეიმით აღინიშნებოდა შოთა რუსთაველის იუბილე. რუსთაველის ზეიმის ექო მთელ მსოფლიოს მისწვდა და გამოწვეული იყო შორეული ჩილე იყო.

სამშობლოში დაბრუნებულ ბატონ ილიას ინტერვიუ ვიხსოვ. გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან, რომელიც 1966 წლის 26 ნოემბერს უნივერსიტეტის განთავსებულ დიპტიკაში (ილია ვეკუას: „30 სექტემბერს ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ ფრეის ვენეციე. როცა გაიგო, რომ მე ქართველი მეცნიერი ვიყავი, თქვა: — მე ვიცი, რომ ახლა თქვენთან შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავი დიდი ზეიმია. მე მისი გენიალური სიმბოლოა რამდენიმე წინ ნივთიერება სანტიგოში გამოცემულ ესპანურ თარგმანში და აღფრთოვანებული ვარ. ჩემთვის უკვე გასაგებია უძველესი დიდი კულტურა იმ ხალხისა, რომელმაც რუსთაველი იმდროინდელი ჩილესის ხალხის სახელით უკულოცა ქართველ ხალხს ამ დღესასწაულს.

მე მადლობა გადავუხადე ბატონ ედუარდ ფრეის და აღვუთქე, რომ ამის შესახებ ვეცადი ქართველ ხალხს.

მეორე დღეს მეწვია „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურად მთარგმნელი გუსტავო დე ლა ტორე და თავისი თარგმანის ეგზემპლარი მიძღვნა ქართული წარწერით. თან დასძინა: — მინდა, კარგად ვიცოდეთ ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, მაგრამ ამაში ხელს მიშლის საჭირო ლიტერატურის უქონლობა.

მე მადლობა გადავუხადე გუსტავო დე ლა ტორეს, რომელიც აღფრთოვანა ჩემმა საუბარმა — ქართულმა კერამიკულმა სუვენირმა თამარ მეფის გამოსახულებით და დავბრდი, რომ უსათუოდ გავუგზავნიდი მისთვის საჭირო ლიტერატურას ქართული კულტურის, მწერლობის და, საერთოდ, ჩემი ქვეყნის შესახებ.“ (ამონარიდი ინტერვიუდან).

სწორედ ამ შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი ფოტოზე, 1966 წლის პირველ ოქტომბერს, შორეულ სანტიაგოში.

გივი შაჰიუაძე
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
ჟურნალისტი



ილია ვეკუას შვილიშვილობა დიდი პასუხისმგებლობაა



ილია ვეკუა და მარინა ვეკუა ნოვოსიბირსკში

ვოლტერი მიიჩნევდა, რომ წინაპრების როლი ტიტულების სიმრავლით არ განისაზღვრება — გაცილებით დიდ პატივისცემას იმსახურებს იმ ადამიანის სახელი, რომელმაც დიდი საქმენი აკეთა!

ილია ნესტორის ძე ვეკუა, უდიდესი მეცნიერი გახლდათ: მრავალი დამსახურებული ნოდების, ორდენისა თუ ჯილდოს მფლობელი. თუმცა, ადამიანები, რომელთაც მე შეხვედია და მის შესახებ ვესაუბრე, დიდი წინაპრის პატივისცემას მალაღფარდოვანი ეპითეტებით როდი გამოხატავენ, ისინი ჩვეულებრივი შვილიშვილები არიან, რომელთაც ძალიან უყვარდათ ბაბუა — ყველასათვის პატივცემული ილია ვეკუა.

იგივე ვოლტერს უთქვამს, რომ გოგონები უფრო სწრაფად იქცევიან მგრძობიარე არსებებად, ვიდრე ბიჭები იხეიან ღრმა აზროვნების უნარსო. თქვენც დაეთანხმებით ამ გამონათქვამს, როდესაც მარინა ვეკუას ემოციურ ნაამბობსა და ილიკო თავხელიძის რაციონალურ, მამაკაცურ შეფასებებს მოისმენთ.

თითქოს სიმბოლოურად, ილია ვეკუას შვილიშვილებმა თავიანთი მოღვაწეობა უნივერსიტეტში გააგრძელეს.

რას იხსენებს ბებიასა და ბაბუასთან გაზრდილი, ეურნალისტის მინარეთულების პროფესორი მარინა ვეკუა

ციფირიდან დღემდე

სახლში, სადაც ილია ვეკუა 1967-77 წლებში ცხოვრობდა, თითქმის არაფერია შეცვლილი: საშუალო მაგიდა თუ პროფესორის საცვარეულო საგარეო, ლამაზი თუ 49 ცენტად ნაყიდი ვეცხტერის ლექსიონი, სანდვარგაფით მოეზარბისა გადღებული ფოტოები თუ ფორსაჯი... ბუხარზე უამრავი ნაწუქარი თუ უცხოეთიდან ჩამოტანილი სუვენირი ანეცია, კაბინეტში პატარა მემორიალური კუთხე მოუწყვიათ — მედლებითა თუ ორდენებით, აქვე ბატონი ილიას საცვარეულო ყურსასმენი, იაპონური „არაიოლა“ და პორტრეტები.

სტუმრისათვის იდუალებელი მოცული ეს ნივთები სახლის ბინადართა ყველადაც მათი გაუთავისებობაა. ჩემს მასპინძელს, ქალბატონ მარინა ვეკუას კი არ ეფულება შვილიშვილი, რომელიც ბაბუაზე მოგონებისას თბილ სიტყვებს დაიშურებს, ამიტომ მღვრთხილებს: — სუბიექტური ვიქნები, ვინაიდან გამონაკლისი არ გახლავართ და ჩემი ბაბუა ყველაზე თბილი, კარგი და საყვარელი ადამიანი მყარია.

უპირველეს ყოვლისა, ბატონი ილიას ყოველდღიურ რეჟიმზე მიაბობს:

— ის პუნქტუალობით გამოირჩეოდა. არასდროს აგვიანებდა სამსახურში. ყველას ქუდას უხდიდა და გულითადად ესალმებოდა: მძლოლა თუ დარაჯს, ლექტორსა თუ სტუდენტს. შესვენებებზე სახლში შემოვილიდა. საიამოვნებდა, როდესაც ოჯახის თითოეული წევრი მიეგებებოდა, მოიკითხავდა. თუ არავინ დახვდებოდა შემოსასვლელში, ნახევრად ზუმრობით დასძინდა: ერთი ძალიან მყოლოდა, კუდის ქიციანი ყველას დაგასწრებდათ მორბენასო! სადილის მერე საგარეოში მოკალათდებოდა, რვეულსა და ავტოკალამს მოიმარჯვებდა და წერას შეუდგებოდა. იშვიათად მინახავს სანერ მაგიდასთან მომუშავე — საგარეოში უფრო კომფორტულად გრძობდა თავს, გვერდით რადიოლა ედგა და უსმენდა ხოლმე. საღამოობით უსათუოდ გვესტუმრებოდა ვინმე, ან თავად მიდიოდა მეგობრებთან, საუბრობდნენ, მსჯელობდნენ. შუაღამით კვლავ საშუაოს უბრუნდებოდა, ზოგჯერ დილის ხუთ საათამდე ენთო შუქი მის ოთახში — არც კი ვიცი, როდის ასწრებდა ძილს.

ილია ვეკუას კალამი სიცოცხლის ბოლომდე არ დაუდგია. თავისი უკანასკნელი ნაშრომის დასრულების შემდეგ კი მხოლოდ ორი დღე იცოცხლა. მისი შრომა, მართლაც რომ უწყვეტი პროცესი ყოვილა.

როდესაც გაქვს იმადი, რომ გამოქანამრთილდა — ნახევრად გამოქანამრთილდა ბული ხარ!

ქალბატონი მარინასათვის მტკივნეულია ბაბუას ავადმყოფობაზე საუბარი, თუმცა თავს ძალს ატანს, როგორც თავად აღნიშნავს:

„ისე იმისათვის, რომ ბატონი ილიას უდიდესი ნებისყოფა წარმოაჩინოს!“

ოპტიმიზმი ისეთი გრძობაა, როდესაც თავს აჯერებს, რომ ყველაფერი კარგადაა, მაშინაც კი, როცა მისი საფუძველი არ გაგანია: მოუხედავად იმისა, რომ ბატონმა ილიამ მშვენივრად იცოდა, რა სჭირდა, მოუხედავად იმისა, რომ წართქველი ჰქონდა მეტყველების, ყლაპვისა თუ სუნთქვის უნარი — არასოდეს უთქვამს, დავილალო!

ბატონი ილიას გმობობის თანამონაწილე გახლდათ მისი ექიმიც, სიმონ ხეჩინაშვილი — საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი. — ბატონი სიმონი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, — იხსენებს ქალბატონი მარინა, — გვიან ღამით ჩვენს ფანჯრებში შუქს თუ მოჭკრავდა თვალს, რაც იმის ნიშანი გახლდათ, რომ ბაბუა ცუდად იყო, მაშინვე აქ გაწინდებოდა.

ავთვისებიანი სიმსივნის მწერლობა დღემდე გადაუწყვეტელი პრობლემა კაცობრიობისათვის. ამიტომ ექიმები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ავგარ პაციენტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას — თუ როგორ შეხვდება იგი უძვივს ავადმყოფობას.

— ამ შირვი, ბატონი ილია განსაკუთრებული ადამიანი გახლდათ, — აღნიშნავს სიმონ ხეჩინაშვილი, — იგი ყოველთვის მაკვირვებდა თავისი გუჯაკობითა და შემართებით. როდესაც თავს უკეთესად გრძობდა, ჩვეულებრივად განაგრძობდა მუშაობას. შინგნელოვანია ის გარემოებაც, რომ მან მეტყველების უნარი გამოიმუშავა და ლექციებსაც კი კითხულობდა, მაშინ როდესაც მსგავსი ავადმყოფები აპარატივად კი ვერ ახერხებენ საუბარს. ჯანმრთელი ადამიანისათვის ჩვეული ოპტიმიზმით, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე განაგრძობდა ბრძოლას. ამ ბრძოლაში იგი დამარცხდა, მაგრამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია და ეს უმნიშვნელოვანესია ამ ეტაპზე, სანამ კიბოს წინააღმდეგ პრეპარატი არ გაგვანია!

ორი ნახიჯიდან მოწერილი წერილები

ქალბატონი მარინა მიიჩნევს, რომ ადამიანის ჭკუმატილი არის კრიტიკულ კითარებაში უკეთ იხსნება და კიდევ ერთ სეველიან მოგონებას აცოცხლებს ჩვენს თვალწინ:

— სტუდენტურ არდადეგებზე მოსკოვში ჩავიდი, ბაბუა კრემლის საავადმყოფოში იწვა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ოცდაათი საათის განმავლობაში მორიგობდა მედაქრსონალი, მასთან ლამ-ლამობით ოჯახის ერთერთი წევრი მაინც რჩებოდა. მეც გამოვთქვი სურვილი და ბაბუასთან დამტოვეს.

ბატონი ილიას მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს, ნუხდა, ვინაიდან იცოდა,

რომ შვილიშვილს მის გამო ღამე უნდა გაეთენებინა. სწორედ მაშინ დაწერა წერილები, რომელთაც ქალბატონი მარინა დღემდე სათუთად ინახავს, სწორად კითხულობს, როდესაც ცხოვრებაში სირთულეებს აწყდება და ყოველთვის პოულობს მათში საჭირო პასუხს.

— ბაბუა ამ წერილებით მესაუბრებოდა, ვინაიდან, უკვე ლაპარაკი უჭირდა. მწერდა ზოგადსაკუბრო საკითხებზე: რომ სინამარცე თითოეულ ადამიანში ზის; რომ ომი სულელების, ჭკუიდან გადასული ადამიანების მოგონილია; რომ ნიქს არ აქვს ფასი შრომის გარეშე და თუ პროფესიის სიყვარული არ გაქვს, არაფერი გამოგივა. ხოლო თუ საქმეს სიყვარულით აკეთებ, ის არასდროს დაგელიოს — პირიქით, ბედნიერებასა და სიხარულს მოგიტანს!

სასტუმრო ოთახში სინჯარე ჩამონვა. ქალბატონი მარინა სათითაოდ კეცავს მგვიდანვე გამოიღო წერილებს და სათუთად ინახავს მათ. საყვარელი წინაპრის მოგონებას ყოველთვის ახლავს სევდა, თუმცა, ქალბატონი მარინა ცდილობს, მხიარულ ნოტაზე გადაერთოს, რითაც უახლოვდება და სამოძაო ზღაპრითი მიაბობს:



ილია და თამარ ვეკუები სტუმრებთან უნივერსიტეტის ბაღში. 1967 წ.

ციფირიდან მოვლის პაპა

— ციფირში კოტეჯის პირველ სართულზე ვცხოვრობდით. ეს როიალიც იქ იდგა. ახალი წლის წინა ღამეს ბაბუამ ასეთი რამ მომიოქმედა: ოთახში როიალის თავზე პატარა ფანჯარა გამოალო, მერე როიალსა და სკამზე თოვლი დაყარა და ზედ ფეხსაცმლით ნაფხუ-

რები დააჩნია. „თოვლის ბაბუას ნაკვალევს“ როიალიდან სკამზე, მერე კი საახალწლო საჩუქრებამდე მივყავდით. აი, ასეთი გულუბრყვილო გახლდათ ის, რომელსაც დიდი ბავშვიც ეთქმოდა! ხედავთ, ისეთ ბანალურ ამბავს გიაბობთ, როგორსაც ნებისმიერი შვილიშვილი მოჰყვებოდა საკუთარ ბაბუაზე.

ნუთუ უბრალო ამბავია? ჩემი აზრით, არაჩვეულებრივია, ისევე, როგორც საკვირაო ექსკურსიები, რომელთაც საკუთარი ქვეყნის ისტორიაზე უზომოდ შეყვარებული ბაბუა შვილიშვილებს უწყობდა ხოლმე. თურმე, კვირაობით ქალბატონი ილია ვეკუას, ბენო ბალავაძის, შოთა ძიძიგურისა და სერგი დურმიშიძის ოჯახები რამდენიმე მანქანით მიემგზავრებოდნენ.

— ისტორია უყვარდა. რამდენადაც ვიცი, ახალგაზრდობაში ისტორიულზე აპირებდა ჩაბარებას და მერე ერთერთმა ახლოვლმა შეაცვლევინა გადამწყვეტილება, — იხსენებს ქალბატონი მარინა, — ამ ექსკურსიებზე კი ბაბუა უამრავ საინტერესო ამბავს გვიყვებოდა. გული მწყდება, რომ მე დღეს არ ძალმიხს იდენი გავუყუთო საკუთარ შვილიშვილს (მუდამ მოუტეული და დაკავებული

ასმენინებდა, არაჩვეულებრივად ითამაშებოდა, ხან ნაბადმოსმული შემოაბიჯებდა სტუმრებთან.

— ერთ საღამოს, მასხოვს, შუა ოთახში, ბუხრის წინ დააფინა ნაბდეები, მოგვაცანინა სვანური თუ სეფსურული ქუდეები, უცხოელ მეგობრებს დაახურა თავზე, ყველა ნაბდეზე წამოაწვინა და სუფრაც იქვე გაგავლევინა. ესთეტიკა გახლდათ, ცდილობდა ყველგან და ყველაფერში სილამაზე დაენახა, ჩაეესოვა. მათემატიკა ლამაზიაო, — მისგან გავიგე პირველად და მართლაც, გულთბილად შევიყვარე ეს მეცნიერება და სიცოცხლის ბოლომდე გავითავისე.

როდესაც გამოჩნილი ადამიანის შთამომავალი ხარ — საამაყოცაა და საპასუხისმგებლოც

ბებიასა და ბაბუას ნებისმიერი შვილიშვილისათვის საყვარელი ადამიანებია, თუმცა, ქალბატონი მარინა ამ შირვი განსაკუთრებულ პირობებში აღმოჩნდა — იგი, ფაქტობრივად, ბებიას-ბაბუამ გაზარდა. სამი წლის იყო, როდესაც მათთან ერთად გაემგზავრა ციმბირში და ბოლომდე მათ გვერდით იყო. მიაჩნია, რომ როდესაც გამოჩნილი ადამიანის შთამომავალი ხარ — საამაყოცაა და საპასუხისმგებლოც.

— მე არ გახლავართ პირველი, რომელიც ამბობს, რომ რთულია დაიშვიდრო საკუთარი თავი, როდესაც ცნობილი ადამიანის შვილი ან შვილიშვილი ხარ, — მისხნის ქალბატონი მარინა, — ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ მოიქცეოდა ბატონი ილია ამა თუ იმ სიტუაციაში და ვცდილობ, თითოეული ჩემი საქციელით მის სლოვნას პატივი მივგავო. მისი გარდაცვალების შემდეგ აკი არავრთხელ ვყოფილვარ იმის მომსწრე, თუ როგორ წამოუდგებოდნენ ფეხზე ნაცნობი თუ უცნობი ადამიანები ბაბუას სახელს.

აი, ასეთი ბაბუა გახლდათ ილია ვეკუა — მან უდიდესი კვალი დატოვა არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ უახლოეს ადამიანებთან ურთიერთობაშიც. თურმე, სწორად მოძღვრავდა ქალბატონ მარინას: კარგ საქმეს თუ ჩაიდენ, იქვე დაივიწყე, თორემ ისევ და ისევ შენ შენუდები მაგანე ფიქრითო. და ქალბატონი მარინაც ცდილობს ამ მოძღვრებით იაროს, ამ შეგნებით აღზარდოს საკუთარი შთამომავლობა თუ სტუდენტები.

რას იხსენებს ილია ვეკუას მოსახელე შვილიშვილი, მათემატიკოსი ილია თავხელიძე

გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი დღეს ილია ვეკუას სახელს ატარებს. მისი შვილიშვილი, ამავდ ინსტიტუტის თანამშრომელი, ბატონი ილია თავხელიძე ჩემი მასპინძელია.

ბატონი ილიკო გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ასევე ილია ვეკუას პრემიის ლაურეატი (1984 წელს).

როგორი იყო ბაბუა? ამ კითხვაზე მათემატიკოსი შვილიშვილს ზუსტი და დაწურული პასუხები აქვს.

პირველი და განსაკუთრებული თვისება, რომელიც მან დაასახელა, ბატონი ილიას უდიდესი მიმტეველობა გახლავთ.

— თუმცა, რამდენადაც მიმტევებელი გახლდათ პირად ურთიერთობებში, იმდენად მკაცრი იყო ახლობლების მიმართ. ერთხელ, მოსკოვში კონფერენციაზე უნდა წაგვეკითხა მოხსენებები: მას დილის სექციანზე, მე კი საღამოს, — იხსენებს ბატონი ილიკო, — დამიძახა და წინასწარ მომაცოლა ყველაფერი. ერთი სიტყვა გამომჩნია, რითაც მნიშვნელოვანად იცვლებოდა ჩემი მოხსენების შინაარსი. ხომ არ გგონიათ, თავად შემომთავაზა სწორი პასუხი? დილის ოთხ საათამდე მაფიქრა ჩემს შეცდომაზე. კმაყოფილი დარჩა, როდესაც მივაცენი მას და გამომიცხადა: ასე რომ არ მოქცეულიყავი, უხლებას არ მოგცემდი, შენი მოხსენებით გამოსულიყავი აუდიტორიის წინაშეო!

(მარჯვნიდან. დგანან) მხა ვასილ ვეკუა, მისიშვილი ცილა ვეკუა, შვილიშვილი ილია თავხელიძე. (სხედან) დისშვილი ზურაბ გვეგეჭორი, ილია ვეკუა, ქალიშვილი ლამარა ვეკუა, დისშვილი მანანა გვეგეჭორი

ილია ვეკუას შვილიშვილობა დიდი პასუხისმგებლობა

მე-11 გვერდიდან

მაქსიმალურ დამოუკიდებლობას აძლევდა შვილიშვილებს გადარჩევითი მიღებისას, მითუმეტეს, როდესაც საქმე პროფესიის არჩევას ეხებოდა. ილიკოს მათემატიკით დაინტერესებას თურმე ეჭვის თვალით უყურებდა, თავიდან ფიქრობდა — შეღავათებს ხომ არ ელის ჩემგანო, თუმცა, საბოლოოდ კმაყოფილი დარჩა მისი არჩევანითა თუ მიღწევებით.

— მოსკოვში ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მატემატიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, — გვიამბობს ბატონი ილიკო, — მეორე კურსის ბოლოს უნდა ამერჩია, თუ რა მიმართულებით წავიდოდი მათემატიკაში. ბაბუას დავუვითხე, მან კი მიპასუხა: არჩევანი შენზეა, მეცნიერება მრავალმხრივია და თუ ადამიანს საკუთარი საქმე აინტერესებს, დაძალებასა თუ ხათრს ანგარიში არ უნდა გაუწიოს.

„გაბედე დამოუკიდებლად იზრდები!“ — უთქვამს ვოლტერს. როგორც ჩანს, ბატონი ილია ვეკუაც იზიარებდა დიდი მოაზროვნის ამ სიტყვებს.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნავს ბატონი ილიკო იმ ფაქტს, რომ ბაბუას არ რცხვენოდა სწავლა: თუ რამე არ იცოდა, ან არ ჰქონდა გაგონილი, ნაჩქარევ ახსენებს როდი სჯერდებოდა, აღიარებდა და ბოლომდე, „მოსწავლესავით“ უსმენდა მოსაუბრეს. ყოველთვის მზად გახლდათ შეესწავლა, გაეგო რა ხდებოდა ისტორიაში, ხელოვნებაში, მუსიკასა თუ სპორტში.

— იცით, ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, — თხრობას განაგრძობს ბატონი ილიკო, — ბაბუა თითოეული ლექციის წინ საგულდაგულოდ და ხანგრძლივად ემზადებოდა, რამდენჯერმე ჩანერდა მაგნიტოფონზე, შეასწორებდა და წაშლიდა იმას, რაც სტუდენტებისთვის უნდა მოეთხრო. სწორედ ამ უდიდესი პასუხისმგებლობით მზადების შედეგი გახლდათ ის, რომ ლექციებზე თითქმის არასდროს ხმარობდა ჩვარს — იმდენად გათვლილი ჰქონდა ყველაფერი, რაც დაფაზე უნდა დაენერა!

ილია ვეკუა ტრადიციების ზედმიწევნით დამცველიც ყოფილა. საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა ჩასულიყო, თურმე იქაურ წესჩვეულებებსა თუ სუფრის ტრადიციებს უწევდა ანგარიშს — სულ უშიშვნელო განსხვავებასაც ითვალისწინებდა. თუ უცხოელი სტუმარი ახლდა, ცდილობდა, რაც შეიძლება ზუსტად აესხნა მისთვის ამა თუ იმ ტრადიციის როლი და მნიშვნელობა. სწორედ ამის გამო, მისმა უცხოელმა კოლეგებმა თუ მეგობრებმა იმდენად გაითავისეს ღვინის სმის, თამბაქოსა თუ საღებავებზე ლოკების ქართული კულტურა, თავადაც ამ ტრადიციების მიმდევრები გახდნენ.

— სუფრიდან ადრე წამომდგარს ვერ ნახავდით, ხოლო თუ თამადაობას ითავებდა, ბოლომდე მიჰყვებოდა დაკისრე-

ბულ მოვალეობას, — განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავს შვილიშვილი და იქვე, ხანგასმით დასძენს, — არ მახსოვს არც მე და არც არავის, ბაბუას ექვიფა და მერე ის სუფრა არ გადაეხადა: დროს იხელთებდა, თვალს მიეფარებოდა და სუფრის ანგარიშს გაასწორებდა... ასე რომ, ვერავინ დაიტრიალებს, მე ილია ვეკუას სუფრა გადამიხდა!

„ესურს კმაყოფილი იყოს მკითხველი — ნუ იქნები ზომიერად კმაყოფილი საკუთარი თავით“ (ვოლტერი), — ასე ფიქრობდა ბატონი ილია, როდესაც წიგნზე მუშაობდა. მისი უპირველესი ამოცანა გახლდათ წიგნი კითხვად ყოფილიყო, იმგვარად დაწერილი, რომ მკითხველს რაც შეიძლება ნაკლებად დასჭირებოდა სხვა წიგნები ძიება. სწორედ ამის გამო, ახლად დაწერილ წიგნს ავითხებდა ოფიციალურ კორექტორს, რედაქტორსა თუ რიგით თანამშრომლებს, ზოგჯერ კი შვილიშვილის აზრსაც ითვალისწინებდა. აი, რას იხსენებს ილიკო თაველიძე:

— როდესაც „ტენზორული ანალიზის საფუძვლებზე“ მუშაობდა, მე მესამე კურსის სტუდენტი გახლდით. ერთ დღეს ბაბუა დაინტერესდა, თუ როგორ იკითხებოდა მისი წიგნი სტუდენტის თვალთ და წამოიწყო ჩემი დახმარება, რომ მისი კორექტორი გახლდით, თუმცა, სამი თვის განმავლობაში, სტუდენტურ არდადეგებზე, ოქროყანაში მთელი გულისყურით ვკითხულობდი მის წიგნს და თითოეულ თავზე საკუთარ მოსაზრებებს ვუზიარებდი.

პირში ჩალაგამოკლებული სამხედროები

თავის ცხოვრების მანძილზე ილია ვეკუა არაერთხელ ჩავარდნილა კრიტიკულ სიტუაციებში, თუმცა, როგორც ბატონი ილიკო თაველიძე აღნიშნავს, საკუთარ თავზე ყოველთვის მაქსიმალურ პასუხისმგებლობას იღებდა. მაგალითისათვის შვილიშვილი ციმბირში ყოფნის დროს მოსმენილ ამბავს იხსენებს:

— როდესაც ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის მშენებლობა დასრულებულია, შენობა ციმბირის სამხედრო შტაბის უფროსს მოსწონებია. ვინ აღუდგებოდა წინ სამხედროების ახირებას? ერთ საღამოს ილია ნესტოროვიჩისთვის მის მეგობარს, აკადემიკოს ლავრენტიევს დაურეკავს და შესაძლო საფრთხის შესახებ გაუფრთხილებია. თან უთხოვია, არ გამოქვაო, და მართლაც, ბატონ ილიას საკუთარი თავზე აულია მთელი პასუხისმგებლობა: ღამის ორ საათზე მოუწვევია უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა და ლექტორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სრული მობილიზაციის შემდეგ, ახალ შენობაში გადაუტანიათ დაფები, მერხები თუ სხვა ინვენტარი. დილით სტუმრად მოსულ სამხედრო კომისიას უნახავს, რომ ყველა აუდიტორიაში ლექცია მიმდინარეობდა. შესახებულნი უნივერსიტეტისათვის ვეღარაფერი მოუხერხებიათ.

ციმბირთან ილიკო თავზე-

ლიძეს თავისი საკუთარი, სათუთი მოგონებაც აკავშირებს:

— 1964 წელს ბაბუამ თხოვნით მიმართა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ფიზიკულტურის კათედრის გამგეს, მეგზურობა გაეწია მისთვის ტაიგაში. ბატონი ილიას მანქანით რამდენიმე მეგობარი ცხრადლი-გასწორებდა... ასე რომ, ვერავინ დაიტრიალებს, მე ილია ვეკუას სუფრა გადამიხდა!

316 იყო დიდი მცენარის საყვარელი მათემატიკოსი

მოგონებები ბაბუაზე შესაძლოა უსასრულოდ გავრცელდეს, თუმცა, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კედლები შეგვახსენებს, სად ვიმყოფებით და კვლავ მათემატიკას ვუბრუნდებით. ალბათ მკითხველსაც აინტერესებს, ვინ იყო დიდი მეცნიერის საყვარელი მათემატიკოსი — ავიჰოლია კიდეც ფავორიტი — ლეონარდ ეილერი. ამასთან დაკავშირებით ილიკო თავზელიძე საინტერესო ფაქტს იხსენებს:

— ბაბუას ერთი ორიგინალური, კედელზე დასაკვიდი ხალიჩა აქვდა სპონტანული წიგნების კრებით, რომლებშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოჩენილი მათემატიკოსების სურათები ენყო. ერთხელ

ვკითხე: ეს ფოტოები დამსახურების მიხედვით რომ დაალაგო, პირველ ადგილს ვის მისცემდი-მეთქი? ბევრი იფიქრა და მიპასუხა: პირველ ადგილს ეილერს მივანიჭებდი, მერე რამდენიმე ჯიბეს ცარიელს დავტოვებდი, დანარჩენებს კი როგორღაც გადავანაწილებდი. ამ ხალიჩაზე შენი ადგილი სად არის-მეთქი, კვლავ ვკითხე. ჩემი ადგილი მანდ არ არისო, კატეგორიულად მიპასუხა.

აი, ასეთი თავმდაბალი და მარტივი პასუხი გაუცია შვილიშვილისათვის, რომელმაც წლების განმავლობაში კიდეც მრავალჯერ შეაფასა ბაბუის ღვაწლი და უბრალო, ყოველდღიური ურთიერთობანი; ბატონი ილიკო, აღტაცებით აღსავსე, კომპიუტერის მონიტორთან მსგავს და „მაგიურ“ რიცხვზე (5360) მიმითითებს. ის განსაკუთრებულად ამაყია და ამის საფუძვლიანი მიზეზიც აქვს. თუმცა, არა მხოლოდ მას — ნებისმიერ ქართველს.

30 G 20

„მათემატიკური მიმართულებების კლასიფიკაცია“ (Mathematical Subject Classification) დაფიქსირებულია მსოფლიოში აღიარებული 5360 მიმართულება, 5 ნომრიანი ინდექსებით, რომელთაგან ერთერთი „ბერსის ან ვეკუას ტიპის განზოგადოებებია.“ თითოეულ რიცხვსა თუ ასოს ამ სუთნომრიანი ინდექსში საკუთარი დატვირთვა აქვს:

30 — აღნიშნავს დარგს, ამ შემთხვევაში:

კომპლექსური ცვლადის ფუნქციები: Functions of a complex variable.

G — განხრაა: განზოგადოებულ ფუნქციათა თეორიები: Generalized function theory

20 — მიმართულებაა:

ბერსის ან ვეკუას ტიპის განზოგადოებები: Generalizations of Bers or Vekua type .

მსოფლიოში, ნებისმიერ მათემატიკოსს, რომელიც წარადგენს საკუთარ ნაშრომსა თუ სტატიას ჟურნალში, მოეთხოვება „მათემატიკური მიმართულებების კლასიფიკაციის“ მიხედვით მითითოს, რომელ დარგსა და მიმართულებაში აპირებს ნაშრომის გამოქვეყნებას.

ილიკო თავზელიძე მისწის, რომ ეს მიმართულება ერთადერთია მსოფლიოში არსებული 5360 მიმართულებიდან, რომ იქ ქართველი მეცნიერის სახელია გაფლავებული და რომ ამას ვერ შეცვლის ვერც დრო და ვერც შეხედულებები!



„მათემატიკა არის სამეცნიერო შემოქმედებისა და გუნების საიდუმლოებაში უძველესი უმკლავრისი იარაღი“

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა მისწინდებდა, ჩაიკოვსკის ქუჩაზე მდებარეობს. სკოლა 1961 წელს ილია ვეკუამ დააარსა.

— მან გარემო შემოიკრიბა იმ დროისათვის ცოდნით გამოირჩეული, საუკეთესო პედაგოგები, — გვიამბობს სკოლის ამჟამინდელი დირექტორი, ბატონი გურამ დვედარიანი, — საუკეთესო-მეთქი, ხანგასმით აღვნიშნავ, ვინაიდან თუ პედაგოგი სათანადო დონისა არ გახლავთ, თუ მზად არ არის, ბავშვის დასმულ ნებისმიერ შეკითხვას უპასუროს, გაუჭირდება აქ მოღვაწეობა. ბავშვის ბუნება, მოგეხსენებათ, იმგვარია,

თუ შეგატყო, რაიმე არ იცი, გაბუდმებით იმ საკითხის გარშემო გისვამს შეკითხვებს და ვერც დაუვლი ამას.

ილია ვეკუამ უნივერსიტეტის მაშინდელ პროფესორებთან ერთად შემუშავა ფიზიკა-მათემატიკური სკოლის სასწავლო პროგრამა. სკოლა ამჟამადაც ამ პროგრამით ხელმძღვანელობს.

— მათ გავვალეს გზა, რომელზეც დღემდე დავდივართ სკოლის პედაგოგები თუ მოსწავლეთა თაობები, — აღნიშნავს ბატონი გურამი. გურამ დვედარიანიმა პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. 42-ე სკოლის დირექტორად კი 1986 წელს დაინიშნა. სკოლას საინტერესო ტრადიციები აქვს: ყოველწლიურად, 23 აპრილს, ილია ვეკუას დაბადების დღეზე იმართება სკოლის მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი სასკოლო კონფერენციები, ინვევენ საპატიო სტუმრებს, გამორჩეულ მოღვაწეებს მათემატიკისა და ფიზიკის სფეროში. საუბრობენ ბატონი ილიას საქმიანობაზე, მეცნიერების თანამედროვე მიღ-

წევებზე, სკოლაში მიმდინარე პროცესებსა თუ პრობლემებზე.

— წლებიდან დღემდე ღონისძიებები გეგმა ამგვარია: 23 აპრილს, მეზუთე გაკვეთილის შემდეგ, მასწავლებლები და მოსწავლენი ფეხით ავლენ მთაწმინდის პანთეონში. ისინი გვირგვინით შეამკობენ ილია ვეკუას საფლავს, — გვიამბობს ბატონი გურამი, — თოიძის სახელობის სამხატვრო სკოლის დირექტორმა ოთახი დაგვიტოვა და გაკვეთილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი მიღწევებით, — სიამაყით აღნიშნავს ბატონი გურამი, — საბჭოთა კავშირის დროს, საერთაშორისო ოლიმპიადების შედეგების მიხედვით, თითქმის ყოველთვის საუკეთესო ხუთეულში შევდიოდით, „მეთექვსმეტე რესპუბლიკის“ წოდებაზე გვექონია.

„მათემატიკა არის სამეცნიერო შემოქმედებისა და ბუნების საიდუმლოებაში შეღწევის უმძლავრესი იარაღი“ — 42-ე სკოლის მოსწავლენს მშვენივრად გაუთავისებიათ ილია ვეკუას ეს სიტყვები. დიდი მეცნიერის ფოტოებთან ერთად, სკოლის დერეფნებისა თუ საკლასო ოთახების კედლებს მისი არაერთი გამოჩენილი ამშვე-

ნებს აქვია მოსწავლენის ხელით გამოქანდაკებული დიდი მეცნიერის ბიუსტი.

— ბატონი ილიას ერთერთი იუბილესთვის, ჩემს მოსწავლეთან ერთად ბაზალტის ქვისგან ეკვლიდეს ფარგლის გამოყენებით გამოვქანდაკეთ ეს ბიუსტი, — იხსენებს ბატონი გურამი, — თოიძის სახელობის სამხატვრო სკოლის დირექტორმა ოთახი დაგვიტოვა და გაკვეთილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი მიღწევებით, — სიამაყით აღნიშნავს ბატონი გურამი, — საბჭოთა კავშირის დროს, საერთაშორისო ოლიმპიადების შედეგების მიხედვით, თითქმის ყოველთვის საუკეთესო ხუთეულში შევდიოდით, „მეთექვსმეტე რესპუბლიკის“ წოდებაზე გვექონია.

თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა, სანამ ამ სტატუსს მიიღებდა და სანამ მისი მეურვე ბატონი ილია გახდებოდა — ჩვეულებრივი საშუალო სკოლა ყოფილა. იგი მყუდრო და ღამაზადგობის მდებარეობს. თითქმის შეშთხვევით არ შეურჩევია დიდ მეცნიერს — განცალკევებული, სადა და სიმწვანეში ჩაფლული შენობა.

გაზეთში გამოქვეყნებული ფოტომასალა ეკუთვნის გივი შეყილაძეს

რედაქტორი	ნინო კაკულია		ჟურნალისტები:
ტექნიკური რედაქტორი	გივი შეყილაძე		მაია ტორაძე
სადაქმონო	გივი შეყილაძე		შურთხია ბეროშვილი
კორექტორი	მანანა ჯურხაძე		მაკა ლდოკონენი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თამარ ქაჭარაძე		თინათინ გვენცაძე

